პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 185 (15095)

14 აგვისტო
შაბათი
1971
ფასი 2 კაპ.

კარგი სამზადისი წარმატების თავდებია

ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს გააძლიერონ ყურადღება კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური განათლებისადმი, კადრების აღზრდისადმი მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა ათვისების საფუძველზე, თანამედროვეობის ძირითადი პრობლემების გამო პარტიის მიერ შემუშავებულ შეხედულებათა საფუძველზე. საჭიროა კვლავაც სრულვყოთ პარტიული სწავლების დამკვიდრებული სისტემა, გადაჭრით დავძლიოთ ფორმალიზმის ელემენტები პარტიულ სწავლებაში, დაუცხრომლად გავაძლიეროთ მისი ზემოქმედება კომუნისტთა შეგნებისა და აქტივობის ზრდაზე.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან

ჩვენი პარტიის უმაღლესი ორგანოს ეს სახელმძღვანელო მითითება სულ უფრო ძლიერად ჟღერს ახლა, როცა ახლოვდება პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წელი.

დღეს შემოქმედებითი შრომის ფერხულშია ჩაბმული მთელი ჩვენი ხალხი. ადამიანები, კადრები პრაქტიკულად წყვეტენ პარტიის წინასწარდასახულობებს. ისე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის, მთელი ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლება დამოკიდებულია კომუნისტების, კადრების იდეურ წრთობაზე, მათ უნარზე დარაზმონ და გაიყოლიონ მასები მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ამოცანების განსახორციელებლად.

ჩვენი კადრების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს **პოლიტიკური განათლების სისტემა**, რომელსაც სავსებით კანონიერად უწოდებენ **მილიონთა ლენინურ უნივერსიტეტს**. შარშან სწავლების ამ კერაში თეორიულ ცოდნას იმაღლებდა სამას ათასზე მეტი კაცი.

ახლა პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს მომავალი სასწავლო წლისათვის მზადება. მთავარი ის არის, რომ ყოველმხრივ ავწონდავწონოთ, ანალიზი გავუკეთოთ მიღებულ გამოცდილებას, ობიექტურად შევაფასოთ იგი და აქედან ყველაზე საუკეთესო, განზოგადების ღირსი პრაქტიკულად დავნერგოთ პარტიულ პროპაგანდაში. ამის მიზანი ის არის, რომ პროპაგანდისტული მუშაობის არსენალი კიდევ უფრო შევავსოთ ცოცხალი, საინტერესო ფორმებით.

გასული სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში აღინიშნა დიდი პოლიტიკური და იდეური აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეული იყო თავიდან სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებით და შემდეგ ყრილობის ისტორიული დოკუმენტების შესწავლით. მან კიდევ უფრო აამაღლა მთელი იდეოლოგიური მუშაობის დონე, გაამდიდრა მისი მეცნიერული შინაარსი, ფორმები და მეთოდები.

სკოლების, თეორიული სემინარების დასკვნით მეცადინეობებზე, პოლიტიკური პროპაგანდის მასობრივ ფორმებში დიდი ყურადღება მიექცა ისეთი საკითხების შესწავლას, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობენ სკკპ XXIV ყრილობის მასალებიდან და დაკავშირებული არიან პარტიის, საბჭოთა ხალხის ბრძოლასთან ახალი ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის. პარტიული განათლება დაეხმარა კომუნისტებსა და უპარტიო მასებს კიდევ უფრო ღრმად შეესწავლათ და გაეგოთ პარტიის ეკონომიური პოლიტიკა, მისი მიზნები, ამოცანები და განხორციელების გზები.

გასული სასწავლო წლის შედეგები ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პარტიული განათლების სისტემა კომუნისტებს აძლევს შესაძლებლობას მტკიცედ დაეუფლონ თეორიულ ცოდნას. ამიტომ მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა შემადგენელი ნაწილის თანმიმდევრული შესწავლა მომავალშიც იქნება პარტიული განათლების შინაარსის საფუძველი. ამასთან მთავარია უზრუნველვყოთ თეორიის კავშირი ცხოვრებასთან, პარტიის პოლიტიკასთან, ხელი შევუწყოთ კომუნისტების, ყველა მშრომელის აქტივობის ზრდას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, კომუნისტური აღზრდის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, მეცხრე ხუთწლედის ამოცანები მოითხოვენ ჩვენი კადრების ეკონომიური მომზადების არსებითად გაუმჯობესებას, მშრომელთა შორის ეკონომიური პროპაგანდის გაძლიერებას. **ამოცანა ის არის, რომ თვითეულ კოლმეურნეს, მუშას ღრმად ესმოდეს პარტიის ეკონომიური პოლიტიკა, საფუძვლიანად ფლობდეს სოციალისტური მეურნეობის მართვის მეთოდებს.**

ცხადია, სკკპ ეკონომიური პოლიტიკის პროპაგანდას პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დროს და დაწყების შემდეგაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ შევანელოთ ყურადღება მსოფლმხედველობითი დისციპლინების შესწავლისადმი.

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისას კვლავაც სათანადო ყურადღება უნდა მივაპყროთ ხელმძღვანელი კადრების სწავლებას. საქმით უზრუნველვყოთ ის, რომ ყოველი მუშაკი სისტემატურად სწავლობდეს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიასა და მეთოდოლოგიას, ეუფლებოდეს მუშაობაში ლენინურ სტილს, მეურნეობის მართვის მეცნიერულ მეთოდებს, მასების ორგანიზაციისა და აღზრდის ხელოვნებას. ამიტომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტები მოვალენი არიან არა მარტო ჩააბან ხელმძღვანელი კადრები პოლიტიკურ სწავლებაში, არამედ ამასთან მიიზიდონ ისინი აქტიურ პროპაგანდისტულ მუშაობაში. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ხელმძღვანელი მუშაკი ერთნაირად იყოს დაინტერესებული ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობით.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში პარტიულ ზრუნვას და ხელმძღვანელობას მოითხოვს კომკავშირული პოლიტიკური განათლება. მალე საქართველოს კომკავშირს 50 წელი შეუსრულდება. ამ შესანიშნავი თარიღისათვის მზადება უნდა გამოვიყენოთ ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ახალი, ფართო გაქანების უზრუნველსაყოფად. მივცეთ ახალგაზრდობას კომუნისტთა რიგებიდან ყველაზე გამოცდილი და მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტები, რომელთაც უნარი შესწევთ ცოცხლად, საინტერესოდ ესაუბრონ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე.

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში მთავარი, წამყვანი როლი აკისრიათ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. მათ კარგად იციან გასული სასწავლო წლის ავკარგი, იცნობენ თვითეულ კომუნისტს. ახლა მათზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად დაკომპლექტდება ქსელი, თუ რა ღონისძიებები განხორციელდება მომავალი სასწავლო წლის ნაყოფიერი მუშაობის უზრუნველსაყოფად. კარგი იქნება, თუ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობა განიხილება პარტიულ კრებებზე და დაისახება კონკრეტული ღონისძიებები.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიული განათლების წარმატების საწინდარია მისი დროზე და სწორად დაკომპლექტება. ეს უნდა დავიწყოთ პროპაგანდისტის შერჩევით. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მოვალეობაა სისტემატურად იზრუნონ პროპაგანდისტთა კადრების შერჩევის, გადამზადებისა და რეზერვების შექმნისათვის.

რაც შეიძლება ენერგიულად, მონდომებით, მოფიქრებულად ვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების ქსელში — ასეთია ერთ-ერთი მთავარი სადღეისო ამოცანა.

კარგი სამზადისი წარმატების თავდებია!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

□

განვამტკიცოთ სოფლის სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ".

დადგენილება ავალებს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შეიმუშაონ და განახორციელონ 1971-1975 წლებში თვითეულ სასოფლო რაიონში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, სკოლებთან არსებული ინტერნატების ქსელის გაფართოებისა და დაშორებული დასახლებული პუნქტებიდან სკოლებში მოსწავლეთა მოყვანის ორგანიზაციის ღონისძიებანი.

კოლმეურნეობებს, რომლებიც თავიანთი ინიციატივითა და საკუთარი სახსრებით განათლების სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტებით აგებენ სკოლის შენობებს, სკოლასთან არსებულ ინტერნატებს მოსწავლეებისათვის და საცხოვრებელ სახლებს მასწავლებლებისათვის, უნდა გაეწიოთ დახმარება, რათა აღნიშნული მშენებლობანი უზრუნველყოფილი იყოს საშენი მასალებით, ხოლო სკოლები და სკოლებთან არსებული ინტერნატები — ავეჯითა და სასწავლო მოწყობილობით.

უნდა გადაწყდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კიდევ უფრო რაციონალური განლაგების საკითხი, ხოლო ახალი 1971-1972 სასწავლო წლის დაწყებისათვის უნდა უზრუნველვყოთ მცირე კომპლექტიანი სკოლების შემდგომი შემცირება და მოსწავლეთა რაოდენობის გადიდება კლასებში.

მიმდინარე წლის დამლევამდე რესპუბლიკის თვითეულ რაიონში, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა განისაზღვროს ის დაწყებითი სკოლები, რომლებიც უნდა გამსხვილდეს 1972-1975 წლებში.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ 1971-1972 სასწავლო წლის ბოლომდე უნდა განვახორციელოთ კონტროლი თვითეულ სკოლაში კლასების დაკომპლექტებისადმი, რათა თავიდან ავიცილოთ არასრულად დაკომპლექტებული კლასების უსაფუძვლოდ გახსნის შემთხვევები და შემდგომ სისტემატურად შევამოწმოთ ხოლმე, თუ რამდენად სწორად არის ისინი დაკომპლექტებული.

უნდა განვახორციელოთ ღონისძიებანი იმისათვის, რომ უთუოდ შევასრულოთ რვაწლიანი სავალდებულო სწავლების კანონი და 1975 წელს დავამთავროთ საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რვაწლიანი სკოლები საშუალო სკოლებად შეიძლება გადაკეთდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის მოსწავლეთა საჭირო კონტინგენტი მეცხრე კლასების გასახსნელად, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არიან კვალიფიციური პედაგოგიური კადრები.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უნდა განახორციელონ ყველა ღონისძიება, რათა 1971-1975 წლებში კეთილმოწყობილი კომუნალური ბინებით უზრუნველყონ ყველა ის მასწავლებელი, რომლებიც მოქალაქეთაგან ნაქირავებ საცხოვრებელ შენობებში არიან.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს სკოლებთან არსებულ ინტერნატებში მცხოვრებ მოსწავლეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები.

სახალხო განათლებისა და სტატისტიკის ადგილობრივ ორგანოებს წინადადება ეძლევათ სამი თვის ვადაში აღრიცხონ სკოლები, მათ შორის სოფლის სკოლები, რომლებიც მოთავსებულია ავარიულ, გამოუსადეგარ და ნაქირავებ ბინებში.

უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი სოფლად მოსწავლეთა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, აგრეთვე სასკოლო საწერ-კალმისა და რვეულების ვაჭრობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ გაუმჯობესდეს სოფლის სკოლების მოსწავლეთა კვება, აგრეთვე მოეწყოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებულ ინტერნატებში მცხოვრები ბავშვების სამჯერადი ცხელი კვება სკოლა-ინტერნატებში მოქმედი ნორმების მიხედვით, როგორც მშობლების სახსრებით, ისე იმ სახსრებით, რომლებიც ამ მიზნებისათვის გამოყოფილი აქვთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა განახორციელოს ყველა ღონისძიება, რათა კიდევ უფრო განამტკიცოს რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, თვითეულ მათგანში შექმნას კარგად მოწყობილი სასწავლო კაბინეტები.

ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს წინადადება მიეცათ შეფობა გაუწიონ სოფლის სკოლებს და დაეხმარონ სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რესპუბლიკის განათლებისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს დაევალათ გაითვალისწინონ წლიური სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებში სოფლად სკოლის შენობების მშენებლობის დავალებანი იმ მიზნით, რომ 1971-1975 წლებში ყველა სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა გადავიდეს გამოუსადეგარი და ნაქირავები შენობებიდან, აგრეთვე შემცირდეს ცვლიანობა ამ სკოლებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებთან არსებული ინტერნატების მშენებლობას.

იმ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ყოველწლიურ გეგმებში, რომლებსაც საიჯარო წესით ასრულებენ, უნდა გაითვალისწინონ სკოლის შენობების მშენებლობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრების ხარჯზე.

სოფლის სკოლის შენობათა მშენებლობა უნდა შევიტანოთ მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროთა სამშენებლო ორგანიზაციების საიჯარო სამუშაოთა გეგმებში.

შეიქმნა მთავრობის კომისია, რომელიც შეისწავლის საკოლმეურნეო და სხვა არაცენტრალიზებული სახსრების გამოყენების შესაძლებლობას მიმდინარე ხუთწლედში სოფლის სკოლების მშენებლობისათვის.

რესპუბლიკის სახმშენს წინადადება მიეცა 1973-1974 წლების გეგმების პროექტებში გაითვალისწინოს, რომ საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა შეიმუშაოს სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობათა პროექტების სხვადასხვა ექსპერიმენტული ვარიანტი, რომლებშიც გათვალისწინებულ იქნება მათი განლაგება რთული რელიეფის პირობებში და კედლების ამოყვანა ადგილობრივი საშენი მასალებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება საშუალო სკოლების რიცხვი, და სკოლებში სწავლების ახალი ტექნიკური საშუალებების გამოყენების გაფართოების მიზნით დადგენილებაში ნათქვამია, რომ საჭიროა საქართველოს განათლების სამინისტროს 1971-1972 წლების ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნას ასიგნობათა გადიდება 1 მილიონამდე მანეთის ოდენობით სასწავლო მოწყობილობის შესაძენად.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს წინადადება ეძლევათ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით გაითვალისწინონ ადგილობრივ ბიუჯეტში სახსრების გამოყოფა სკოლებთან ფიზკულტურული დარბაზების, სპორტული სკოლებისა და კომპლექსური სპორტული მოედნების მშენებლობისათვის დაფინანსების არაცენტრალიზებულ წყაროების გეგმებში.

დადგენილებაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ყურადღება ექცევა იმას, რომ საჭიროა პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე მიიღონ იმ რაიონების სოფლის სკოლების კურსდამთავრებულნი, სადაც კვალიფიციური პედაგოგიური კადრების ნაკლებობა იგრძნობა.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ მასწავლებლებს, აღმზრდელებს, დირექტორებს, დირექტორის მოადგილეებსა და სხვა პედაგოგიურ მუშაკებს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ, და მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს უფლება აქვთ იცხოვრონ გათბობისა და განათების მქონე უფასო ბინებში, თუ თვითეული ზემოთ აღნიშნული მუშაკის სოფლის სკოლაში მუშაობის საერთო სტაჟი 10 წელზე ნაკლები არ არის.

(საქდესი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ნიუ-დელში 1971 წლის 9 აგვისტოს, და რომელიც მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1971 წლის 13 აგვისტო.

□ □

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაამტკიცა ხელშეკრულება

დელი, 13 აგვისტო. (საქდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ინდოეთის პრეზიდენტმა ვ. ვ. გირიმ დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ნიუ-დელში 1971 წლის 9 აგვისტოს.

□ □

„ლუნოხოდ-1" კვლევას განაგრძობს

შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი, 13 აგვისტო. (საქდესი). მთავრდება საბჭოთა მთვარემავლის მეათე მთვარის დღე. 12 და 13 აგვისტოს მოწყობილი კავშირგაბმულობის სეანსების დროს თვითმავალი აპარატი განაგრძობდა მოძრაობას მთვარის ზედაპირზე. მიიღეს ადგილმდებარეობის ახალი უბნების პანორამული გამოსახულებანი, აგრეთვე კოსმოსური სივრცის ფიზიკურ მახასიათებელთა გაზომვის მორიგი შედეგები.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, მთვარემავლის საბორტო სისტემები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. კავშირის მორიგი სეანსი გათვალისწინებულია 14 აგვისტოსათვის.

ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მგრეხავმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. კოწიაშვილმა, თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის ხარატმა გ. მარლანიამ, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველმა მ. ართანაშვილმა, თბილისის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ემნაძემ, დადგნენ რა მეცხრე ხუთწლედის შრომით ვახტზე, იკისრეს ვალდებულება ხუთი დღის საწარმოო დავალება ოთხ დღეში შეასრულონ და მოუწოდეს რესპუბლიკის მრეწველობის ყველა მუშას მხარი დაუჭირონ ამ ინიციატივას, ჩაებან ოთხ დღეში ხუთი დღის ნორმის შესრულებისათვის შეჯიბრებაში.

ნოვატორთა ინიციატივას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საქართველოს მთელ რიგ საწარმოთა მუშებმა. „ხუთდღიური — ოთხ დღეში" — ასეთი ლოზუნგით ეჯიბრება ერთმანეთს რუსთავის ქიმიური ბოჭკოს, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო, ბათუმის მანქანათსაშენებლო, ქუთაისის საავტომობილო ქარხნების და სხვა საწარმოთა ბევრი მუშა.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ახალ პატრიოტულ თაოსნობას — „ხუთდღიური — ოთხ დღეში". ამიტომ მან მოიწონა და მხარი დაუჭირა წარმოების მოწინავეთა ინიციატივას, რომლებმაც გაშალეს შეჯიბრება ოთხ დღეში ხუთი დღის დავალების შესრულებისათვის. პროფკავშირთა, საოლქო საბჭოებს, რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს წინადადება მიეცათ ფართოდ გაავრცელონ მრეწველობის მოწინავეთა პატრიოტული თაოსნობა რესპუბლიკის ყველა საწარმოში, დარაზმონ მშრომელები ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად, შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

---

14 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა

ГРУЗИНСКАЯ ССР

გამოფენის დიპლომი „ლენინსკოე ზნამიას"

შეჯამდა პერიოდული პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და კინოს იმ საკავშირო კონკურსის შედეგები, რომელიც გამოცხადდა იმისათვის, თუ ვინ უფრო უკეთ გაუწევდა პროპაგანდას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წარმოდგენილ წარმატებებს პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა კომიტეტმა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთი „ლენინსკოე ზნამია" დააჯილდოვა მეორე ხარისხის დიპლომით. გაზეთი დაჯილდოებულია იმისათვის, რომ სისტემატურ და ქმედითს პროპაგანდას უწევს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ექსპოზიციებს, აქტიურად უწყობს ხელს გამოფენაზე წარმოდგენილი მოწინავე გამოცდილების დანერგვას ოლქის ჯარებში.

რედაქციის რამდენიმე ჟურნალისტი დაჯილდოებულია სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლებით: ვერცხლის მედლით — ოფიცერი ი. ვ. ხვალიაევი, ბრინჯაოს მედლებით — ოფიცრები ა. ე. კოვალი, პ. ქ. გოროვოი და გადამდგარი პოლკოვნიკი ვ. პ. სოროკინი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილებით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთი „ლენინსკოე ზნამია" დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის 1971 წლის მონაწილედ.

12 აგვისტოს რედაქციის შენობაში გაიმართა ჯილდოების გადაცემა. ჯილდოები გადასცა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემ, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების უფროსმა ა. ი. ბუიახჩევმა. მან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომი გადასცა გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორს პ. ი. ალტუნინს, შემდეგ მედლები გადასცა დაჯილდოებულთ. (საქდესი).

მოგილოცავთ დღესასწაულს, მეგობრებო!

ამ სურათებზე ვხედავთ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან სპორტსმენებს, იმათ, ვინც თავი ისახელა არა მარტო საშინაო ასპარეზობებში, არამედ დიდ საერთაშორისო სარბიელზეც. გავეცნოთ მათ:

მარცხნივ — მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის ნ. გაფრინდაშვილი; მსოფლიოს ექს-ჩემპიონი და სსრ კავშირის მეხუთე სპარტაკიადის ოქროს მედლის მფლობელი სპრინტერულ რბოლაში ო. ფხაკაძე; **ზემოთ**—საქართველოს სპორტული დელეგაცია სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის გახსნის დღეს ლუჟნიკში პარადზე; **მარჯვნივ** — სპარტაკიადის ჩემპიონი და სსრ კავშირის რეკორდსმენი გულაღმა ცურვაში თ. ლეკვეიშვილი (ცენტრში) მეგობრებთან — სპარტაკიადის პრიზიორებთან — ი. გოლოვანოვასთან და ლ. კომაროვასთან; მსოფლიოს და სპარტაკიადის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში — რ. რურუა.



თეორიის საკითხები

სკკპ XXIV ყრილობა მართვის საკითხების შესახებ

გამარჯვების მეცნიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.

„კომუნისტური ეკონომიკის მშენებლობის ფრონტებზე,—ამბობდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი სიტყვაში ამომრჩეველთა წინაშე 1970 წლის 12 ივნისს,— გამარჯვების მეცნიერება — ეს არსებითად მართვის მეცნიერებაა! ამიტომ ახლა ჩვენი კადრების უპირველესი მოვალეობაა შეისწავლონ მართვის მეცნიერება, და თუ საჭიროა ხელახლა ისწავლონ".

Სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პარტიის ისტორიაში მართვის და უწინარეს ყოვლისა წარმოების მართვის საკითხები არ დაყენებულა ისე ღრმად და ყოველმხრივ, როგორც პარტიის XXIV ყრილობაზე. მართვის შესახებ სპეციალური განყოფილებაა პარტიის ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ ყრილობის დირექტივების თაობაზე მოხსენებაში, თვით დირექტივებში.

რატომ არის ასე? იმიტომ, რომ ჩვენი შესაძლებლობანი, სოციალიზმის შესაძლებლობანი განსაკუთრებით დიდია, მაგრამ მათ ყოველთვის ვერ ვიყენებთ სათანადოდ. საბჭოთა ქვეყანას უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეები აქვს: დ. ი. მენდელეევის ცხრილში არ არის ელემენტი, რომელსაც ჩვენი წიაღები არ შეიცავდეს. ჩვენ გვაქვს თანამედროვე ინდუსტრია, რომელსაც უნარი შესწევს მაღალ მეცნიერულ და ტექნიკურ დონეზე გადაჭრას სულ სხვადასხვა ამოცანები. ჩვენ გვაქვს მსხვილი, მექანიზებული, დიდი პოტენციების მქონე სოფლის მეურნეობა. გვყავს შესანიშნავი ადამიანები: მუშები, გლეხები, სპეციალისტები, მეცნიერები, რომლებსაც აქვთ მაღალი პროფესიული მომზადება და მზად არიან ყველაფერი გააკეთონ სამშობლოს აყვავებისათვის. მაგრამ ზოგჯერ არა გვყოფნის ორგანიზებულობა, წესრიგი, იმის უნარი, რომ გამოვავლინოთ და განვახორციელოთ შესაძლებლობანი, საუკეთესოდ გამოვიყენოთ შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები. სხვანაირად რომ ვთქვათ, მართვის უნარი არა გვყოფნის.

ეს უნარი კი ახლა, ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებით საჭიროა. სკკპ XXIV ყრილობამ არა მარტო ხაზგასმით აღნიშნა მართვის სრულყოფის აუცილებლობა, არამედ გვიჩვენა კიდეც, რით არის გამოწვეული ეს აუცილებლობა, გამოავლინა მისი რეალიზაციის გზები, მართვის შემდგომი სრულყოფის გზები.

უწინარეს ყოვლისა შევეხოთ იმას, თუ რით არის გამოწვეული წარმოების, მთლიანად საზოგადოების მართვის სრულყოფის დიდი საჭიროება.

ჯერ ერთი, სახალხო მეურნეობის ფრონტალური გადასვლით განვითარების ინტენსიურ რელსებზე. საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის უზრუნველყოფა და მისი ეფექტურობის ამაღლება, აღნიშნულია XXIV ყრილობის დირექტივებში მეცხრე ხუთწლედის შესახებ, „ძირითადი ხაზია ქვეყნის ეკონომიური განვითარებისა როგორც უახლოესი წლებისათვის, ისე ხანგრძლივი პერსპექტივისთვისაც, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის უმნიშვნელოვანესი პირობაა".

ინტენსიფიკაციის არსია ის, რომ უზრუნველყოფილ იქნას შრომის ნაყოფიერების გადიდება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლება არა საწარმოო სიმძლავრეთა რაოდენობრივი გადიდებით და მომუშავეთა რიცხვის გაზრდით, არამედ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ გამოყენების, მართვის სრულყოფის, მშრომელთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საშუალებით. არა რიცხვით, არამედ ორგანიზაციით, ეკონომიური ზრდის უზრუნველყოფის უნარით — ასეთია ინტენსიფიკაციის დევიზი.

საბჭოთა ქვეყანამ ეკონომიკის ინტენსივობის განვითარების დიდი გამოცდილება შეიძინა. მერვე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების გადიდებით უზრუნველყოფილია მრეწველობის პროდუქციის მატების 73 პროცენტი. ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე, შრომის ნაყოფიერების გადიდებით მეცხრე ხუთწლედში მიღებულ უნდა იქნას ეროვნული შემოსავლის მატების 80-85 პროცენტი, სამრეწველო პროდუქციის მატების 87-90 პროცენტი, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მატების 95 პროცენტი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის და რკინიგზის ტრანსპორტზე ტვირთების გადაზიდვის მოცულობის მთელი მატება.

მეორე, გაიზარდა ეკონომიკის მასშტაბები და მასში მოხდა ხარისხობრივი ძვრები. საბჭოთა ქვეყანაშია 50 ათასამდე ქარხანა, ფაბრიკა და მრეწველობის სხვადასხვა საწარმო, 34 ათასი კოლმეურნეობა და 15 ათასი საბჭოთა მეურნეობა, ათასობით სხვა სახალხო-სამეურნეო ობიექტი. წარმოებს უდიდესი კაპიტალური მშენებლობა: 500 მილიარდი მანეთი დაიხარჯება მეცხრე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარებაზე ნაცვლად პირველი ხუთწლედის 7,3 მილიარდისა და მეშვიდე ხუთწლედის 211,8 მილიარდისა. რაც შეეხება ხარისხობრივ ძვრებს, ისინი გამოიხატება ახალ წარმოებათა შექმნით, რაც გამოიწვია როგორც საზოგადოების მოთხოვნილებებმა, ისე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნებმა, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის, ისე მისი სხვადასხვა დარგების განვითარების კომპლექსური ხასიათით; მეურნეობის სულ უფრო მეტი ორიენტაციით სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის იმ დარგების დაჩქარებულ განვითარებაზე, რომლებიც აწარმოებენ სახალხო მოხმარების საქონელს, რა თქმა უნდა მძიმე ინდუსტრიის განუხრელ განვითარებასთან ერთად და მის საფუძველზე.

ყოველივე ეს ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს მართვას, შესაძლებლობას არ გვაძლევს ვჯერდებოდეთ არსებულ ფორმებსა და მეთოდებს, ისეთებსაც კი, რომლებიც წარსულში კარგად გვემსახურებოდნენ.

მესამე, უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაფართოვდა მართვის შესაძლებლობანი. ეს ეხება როგორც ადამიანებს, ისე საქმის ტექნიკურ მხარეს. მნიშვნელოვნად ამაღლდა ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების, მშრომელთა ფართო მასების ცოდნისა და პროფესიული მომზადების დონე. მნიშვნელოვნად განვითარდა მართვის მეცნიერება და ტექნიკა, განსაკუთრებით ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკა. თანამედროვე ტექნიკა შესაძლებლობას გვაძლევს მანქანებს დავაკისროთ მართვის დარგში შრომატევადი, არაშემოქმედებითი ოპერაციების უდიდესი რაოდენობა, ადამიანებს დავუტოვოთ ფუნქციები გადაწყვეტილებათა მიღებაში, მათი შესრულების ორგანიზაციაში, მართვის პროცესების მიმდინარეობის კონტროლსა და ზედამხედველობაში.

მეოთხე, მართვის საკითხებს ამჟამად უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებათ, ვიდრე ოდესმე წინათ. წარმოების, საზოგადოების მართვა— ეს უწინარეს ყოვლისა არის მართვა ადამიანებისა, შრომითი კოლექტივებისა, ეს არის შრომის ორგანიზაცია, მილიონობით მშრომელთა საწარმოო და სოციალური აქტივობის განუწყვეტელი ამაღლება.

მაგრამ იქ, სადაც მილიონებია, სადაც მათი ინტერესები და მოთხოვნილებებია, უნარი და მისი გამოყენებაა, იქ პოლიტიკაც არის. ვ. ი. ლენინს ბევრჯერ შემთხვევით კი არ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ საჭიროა პოლიტიკური მიდგომა სამეურნეო ამოცანების გადაჭრისადმი, ხოლო პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის ერთიანობის პრინციპს იგი განიხილავდა როგორც პარტიის საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე დიდმნიშვნელოვან პრინციპს.

„ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხის პოლიტიკურ მხარესაც,— აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობისადმი. — სამეურნეო მექანიზმის შეუფერხებელი მუშაობა ჩვენს ქვეყანაში ქმნის კარგ, საქმიან ვითარებას, ხელს უწყობს ფართო მასების შრომითს აღმავლობას, ზრდის მშრომელთა ინიციატივას, რადგან ადამიანები ხედავენ, რომ მათი მუშაობა სათანადო ნაყოფს იღებს, ხმარდება ხალხის კეთილდღეობას, მთელი საზოგადოების კეთილდღეობას. და, მეორე მხრივ, ისე არაფერი არ უცრუებს ადამიანს გულს, როგორც ცალკეულ მუშაკთა მოუფიქრებელი გადაწყვეტილებების, უთაურობისა თუ ბიუროკრატიზმის ფაქტები, რომელთა შედეგად წყალში იყრება შრომა, საზოგადოებრივი დოვლათი, შექმნილი ფასეულობანი".

ყრილობაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა მართვის სრულყოფის დარგში. ახალმა ეკონომიურმა რეფორმამ აღადგინა მეურნეობის მართვის დარგობრივი პრინციპი, რის შედეგადაც არსებითად ამაღლდა დარგობრივი ხელმძღვანელობის დონე. შესამჩნევი დადებითი ძვრებია დაგეგმვაში: მიღწეულია გეგმების დიდი დაბალანსება, გაუმჯობესდა ზოგიერთი დარგის განვითარება, უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს გეგმების ეკონომიური და სოციალური ასპექტები. რეფორმა დიდმნიშვნელოვანი რგოლი იყო სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში — გაფართოვდა რესპუბლიკების კომპეტენცია და უფლებები, საწარმოთა ოპერატიული დამოუკიდებლობა, მშრომელები სულ უფრო ფართოდ ებმებიან წარმოების მართვაში.

ცხადია, მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ცხოვრება წინ მიდის და აყენებს სულ ახალ-ახალ საკითხებს, რომლებიც მოითხოვენ მართვის ახალ ორგანიზაციულ ფორმებს, ახალ მეთოდებსა და საშუალებებს. აი რატომ არის, — აღნიშნულია ეს ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომ მართვის სისტემის სრულყოფა არის არა ერთჯერადი ღონისძიება, არამედ ცხოვრების მიერ დაყენებული პრობლემების გადაჭრის [illegible] [illegible]. ეს [illegible] კვლავაც პარტიის ყურადღების ცენტრში იქნება.

ყრილობამ დასახა მართვის სისტემის სრულყოფის ძირითადი გზები. უწინარეს ყოვლისა ხაზგასმით აღნიშნულია, რომ აუცილებელია დაგეგმვის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფა, რადგან დაგეგმვა სოციალიზმის პირობებში სახალხო მეურნეობის მართვის ცენტრალური რგოლია, ბირთვია. ლაპარაკია დაგეგმვის მეთოდების მეცნიერული დონის შემდგომ ამაღლებასა და სრულყოფაზე, მისდამი კომპლექსურ მიდგომაზე, ვინაიდან გადასაჭრელი ამოცანების ხასიათიც და მათი გადაჭრაც შეიცავენ ზომების მთელი სისტემის განხორციელებას, მოითხოვენ ბევრი დარგის, ეკონომიური რაიონების შეთანხმებულ ღონისძიებებს. ლაპარაკია საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა, არსებული ეკონომიური შესაძლებლობებისა და ადგილობრივი პირობების დაგეგმვაში უფრო ზუსტ აღრიცხვაზე, გადაწყვეტილებათა სხვადასხვა ვარიანტის ყოველმხრივ ანალიზსა და შეფასებაზე, წარმოების ტერიტორიული განლაგების გაუმჯობესებაზე, ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური გრძელვადიანი გეგმების დამუშავებაზე, რომლებიც ემყარება ქვეყნის მოსახლეობის ზრდის, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზებს.

ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვას. აღინიშნა, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა გამოყენების საკითხებმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ჯეროვანი ასახვა ჩვენს გეგმებში. ამასთან წინასწარ მონაცემებს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მთლიანად ვერ ასრულებს სამინისტროთა მნიშვნელოვანი რიცხვი. ამოცანა ის არის, რომ შევიმუშაოთ ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემდგომი განვითარების კომპლექსური პროგრამები და ამის გათვალისწინებით ვაწარმოოთ გეგმის, ყველა მისი განყოფილების შემუშავება.

ასეთმა მიდგომამ უკვე ჰპოვა ასახვა პარტიის ყრილობის დირექტივებში მეცხრე ხუთწლედის შესახებ, რომლებშიც არა მარტო დასახულია მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების ძირითადი მიმართულებანი, არამედ სახალხო მეურნეობის თვითეულ დარგში გეგმითი მაჩვენებლებიც განსაზღვრულია როგორც მიღწეულ, ისე დაგეგმილ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ მიღწევათა გათვალისწინებით. გეგმების საფუძველი უნდა გახდეს გულმოდგინედ შემუშავებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვის სრულყოფაში დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები გათვალისწინებულია „სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით (1971 წლის ივლისი). ამ დადგენილების თანახმად, 1972 წლიდან საწარმოთა და გაერთიანებათა გეგმებში სპეციალურად იქნება გამოყოფილი იმ ახალი პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა, რომელიც თავისი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით შეესაბამება სამამულო და საზღვარგარეთული ტექნიკის უმაღლეს მიღწევებს. გადაწყდა გეგმებში გათვალისწინებულ იქნას ამ პროდუქციის ხვედრითი წონის გადიდება წარმოების საერთო მოცულობაში, ამასთან იგი შეტანილ იქნას პროდუქციის უმნიშვნელოვანესი სახეების წარმოების გეგმებში ნატურალური გამოხატულებით და ეს მაჩვენებლები გათვალისწინებულ იქნას წახალისების ფონდების ფორმირების დროს.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის გამო საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ავალიშვილს გიორგი ივანეს-ძეს — საკავშირო ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების „დინამოს" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელს.

აკოფოვს გრიგოლ არტემის-ძეს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციის სპორტის სექტორის გამგეს.

ახვლედიანს ლევან აფრასიონის-ძეს — ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს.

ბაბილოძეს გიორგი იოსების-ძეს — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროს მასწავლებელს.

ბალუაშვილს ანდრია ალექსანდრეს-ძეს — თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის კურსების გამგეს.

გაჩეჩილაძეს გიორგი ივანეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის განყოფილების უფროსს.

გელაძეს დავით რაჟდენის-ძეს — პენსიონერს.

გიგინეიშვილს ოთარ ისიდორეს-ძეს — საქართველოს სსრ მთასვლელთა ფედერაციის თავმჯდომარეს.

გოკიელს ელენე სტეფანეს ასულს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგეს.

გომერს იან გომერის-ძეს — პენსიონერს.

გონაძეს კონსტანტინე მალაქიას-ძეს — უმაღლესი სპორტული ოსტატების № 2 რესპუბლიკური სკოლის დირექტორს.

დიდებულიძეს ოთარ ნესტორის-ძეს — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის უფროს მასწავლებელს.

დოკვაძეს აკაკი ვარდენის-ძეს — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

დუმბაძეს ნინო იაკობის ასულს — უმაღლესი სპორტული ოსტატების № 1 რესპუბლიკური სკოლის დირექტორს.

ზაუტაშვილს კონსტანტინე გიორგის-ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრის დოცენტს.

თავართქილაძეს ბორის ვლადიმერის-ძეს — საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს.

თელიას ზაქარია ალექსანდრეს-ძეს — თბილისის სამკურნალო ფიზკულტურის დისპანსერის მთავარ ექიმს.

თორთლაძეს სამსონ სპირიდონის-ძეს — ქუთაისის ახალგაზრდობის სპორტული სკოლის დირექტორს.

ივანიშვილს ალექსი ივანეს-ძეს — საქართველოს მთასვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს.

ილურიძეს ვასილ ალექსანდრეს-ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრის უფროს მასწავლებელს.

იმნაძეს რაჟდენ ვასილის-ძეს — საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის წევრს.

კაიშაურს ალექსანდრე კონსტანტინეს-ძეს — პენსიონერს.

კალაძეს გივი ლეონტის-ძეს — სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს.

კაკაბაძეს მიხეილ ვასილის-ძეს — გაზეთ „ლელოს" რედაქტორს.

კალანდაძეს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგის მოადგილეს.

კერესელიძეს რევაზ სიმონის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის განყოფილების უფროსს.

კლდიაშვილს მარიამ ვლადიმერის ასულს — თბილისის მოზრდილთა სპორტული სკოლის მწვრთნელს.

კორინთელს ავთანდილ სოლომონის-ძეს — სპორტული საზოგადოების „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს.

კუხიანიძეს ვახტანგ მელიტონის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარ მწვრთნელს.

მამაცევს ხაზ-ბულატ ივანეს-ძეს — სოხუმის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორს.

მამუკაძეს ზია მამედის-ძეს — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს.

მაჩაბელს მიხეილ ვასილის-ძეს — თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

მეყანწიშვილს გიორგი ვასილის-ძეს — გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს.

მურვანიძეს შოთა გიორგის-ძეს — სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს.

ნოზაძეს შალვა ივანეს-ძეს — სპორტული საზოგადოების „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელს.

ობოლაძეს დიმიტრი პლატონის-ძეს — საქართველოს ალპური კლუბის დირექტორს.

ოვანოღლიანს კიმ ავეტიკის-ძეს — ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს.

პაზიკოვს ნიკოლოზ დავითის-ძეს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

უღენტს მამია კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსს.

რევიას კონსტანტინე ბართლომეს-ძეს — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

როსტიაშვილს გიორგი პავლეს-ძეს — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროს მასწავლებელს.

სანებლიძეს თორნიკე ვლადიმერის-ძეს — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დოცენტს.

სახიევს ვლადიმერ დიმიტრის-ძეს — თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს.

სიხარულიძეს სერგო ვასილის-ძეს — სპორტული კლუბის „სინათლის" ფეხბურთის გუნდის უფროს მწვრთნელს.

სომხიშვილს ნიკოლოზ ილარის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის განყოფილების უფროსს.

ტრანკაშვილს შოთა გიორგის-ძეს — სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგეს.

ქამუშაძეს დავით ზაზას-ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრის უფროს მასწავლებელს.

ჩიქობავას შოთა იულონის-ძეს — ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს.

ცომაიას დავით პავლეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სამმართველოს უფროსს.

ხომერიკს ვლადიმერ ვასილის-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამხედრო-ფიზკულტურული სექტორის უფროსს.

ჯიშკარიანს ილია გიორგის-ძეს — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „განთიადის" ცენტრალური საბჭოს უფროს ინსტრუქტორს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. კვაჭაძე**

თბილისი, 1971 წლის 13 აგვისტო.

კოსმონავტების პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. (საქდესი). „აპოლონ-15" კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟმა — კოსმონავტებმა დევიდ სკოტმა, ალფრედ უორდენმა და ჯეიმს ირვინმა მოაწყვეს პრეს-კონფერენცია ჰიუსტონის პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ცენტრში.

კოსმონავტებმა ჟურნალისტებს უჩვენეს მათ მიერ მთვარეზე გადაღებული რამდენიმე ფოტოსურათი, აგრეთვე ორი კინოლენტი— ერთი, გადაღებული მთვარის ზედაპირზე მთვარის კაბინის დაჯდომის დროს, მეორე — მთვარის უველგანმავლის ერთ-ერთი მოგზაურობის ამსახველი.

„აპოლონ-15" ხომალდის მეთაურმა დ. სკოტმა თქვა, რომ ჯ. ირვინთან ერთად „აპოლონ-15" ხომალდის დაჯდომის ადგილას დატოვა შავ-მოვერცხლისფერო ფირფიტა, რომელზეც ამოკვეთილია იმ საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების სახელები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს კოსმოსური სივრცის კვლევის საქმეს.

ფირფიტის წინ დადგმულია ლითონის ფიგურა, რომელიც გამოხატავს დაღუპულ კოსმონავტს.

□

მუჯიბურ რაჰმანის გასამართლება

დელი. 13 აგვისტო. (საქდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ მოუწოდა მსოფლიოს 23 ქვეყნის მთავრობათა მეთაურებს გავლენა მოახდინონ პაკისტანის მთავრობაზე, რათა იხსნან აღმოსავლეთ პაკისტანის თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის მუჯიბურ რაჰმანის სიცოცხლე.

ინდირა განდიმ ეს ნაბიჯი გადადგა იმასთან დაკავშირებით, რომ მუჯიბურ რაჰმანს ბრალად ედება პაკისტანში „საომარი მოქმედების გაჩაღება" და ამიტომ უნდა წარსდგეს სპეციალური სამხედრო სასამართლოს წინაშე.

ნიუ-იორკი. 13 აგვისტო. (საქდესი). პაკისტანის მთავრობის კარგად ინფორმირებულ წრეებში გამოაცხადეს, რომ 11 აგვისტოს დაიწყო მუჯიბურ რაჰმანის გასამართლება, ამას რავალპინდიდან იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო.

სპეციალურმა სამხედრო სასამართლომ, რომლის დახურული სხდომები მიმდინარეობს ლაიალპურის გარეუბანში (დასავლეთი პაკისტანი), სახალხო ლიგის ლიდერს — მუჯიბურ რაჰმანს ბრალად დასდო „ომის გაჩაღება პაკისტანის წინააღმდეგ". რაჰმანს აღნიშნავს სააგენტო, სიკვდილის განაჩენი მოელის.

მსოფლიო დღე

კაირო ერთობლივი მემორანდუმი

13 აგვისტო. (საქდესი). არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ და საუდის არაბეთმა შეიმუშავეს ერთობლივი მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს მოაწესრიგოს კრიზისი იორდანიის მთავრობასა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობას შორის.

მემორანდუმი, იტყობინება გაზეთ „ალ-ახრამის" კორესპონდენტი ამანიდან, იორდანიის ხელისუფლებისა და წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებს გადასცეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა ჰასან საბრი ელ-ჰოლმა და საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ომარ საკაფმა.

მემორანდუმში, კერძოდ, ხაზგასმულია, რომ საჭიროა დაიცვან კაიროსა და ამანის შეთანხმებანი, რომლებმაც განსაზღვრეს პალესტინელი პარტიზანებისა და იორდანიის ხელისუფლების ურთიერთობა.

ეკონომიური ზეწოლა

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. (საქდესი). შეერთებული შტატები კვლავ დიდ ეკონომიურ ზეწოლას ახდენენ ჩილეზე.

საექსპორტო-საიმპორტო ბანკმა, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტებს ამერიკული საქონლის ექსპორტისათვის, გუშინ ხანგრძლივი გაჭიანურების შემდეგ უარყო ჩილეს თხოვნა მიეცა კრედიტები ამერიკის „ბოინგის" კომპანიისაგან სამი სამგზავრო თვითმფრინავის შესაძენად.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, ბანკის პრეზიდენტმა კერნსმა აცნობა ჩილეს ელჩს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩილეს კრედიტებს არ მისცემს, სანამ არ მოწესრიგდება ამერიკის კომპანიებისათვის კომპენსაციის გადახდის საკითხი, რომელთა საწარმოებს ნაციონალიზაცია უყო ჩილეს მთავრობამ.

ჩილეს მთავრობამ უკვე მოაწესრიგა ამერიკის „ბეტლიჰემ სტილისა" და „ინდიანა პურინის" კომპანიებისათვის კომპენსაციის გადახდის საკითხი.

მაგრამ წინ არის ძნელი მოლაპარაკება ამერიკის სპილენძის სამ კომპანიასთან „კენეკოტთან", „ანაკონდასა" და „სერიოსთან". ეს კომპანიები დიდ ხანს ძარცვავდნენ ჩილეს, წამყვანი პოზიციები ეკავათ ამ ქვეყნის ეკონომიკაში. კომპანიები ამტკიცებენ, რომ მათი ქონების ღირებულება ჩილეში 700 მილიონ დოლარს აღწევს, უზარმაზარ კომპენსაციას მოითხოვენ და ცდილობენ რომ ვაშინგტონმა მხარი დაუჭიროს ამ მოთხოვნებს.

სისხლიანი ტერორი დარ-ეს-სალამი

13 აგვისტო. (საქდესი). ახლა მოზამბიკში გამეფებულია სისხლიანი ტერორი და არბევენ მშვიდობიან მოსახლეობას.

პორტუგალიის ხელისუფალნი, ვიეტნამში ამერიკის მხედრიონის მაგალითისამებრ, გადავიდნენ გადაბუგული მიწის ტაქტიკაზე. ეს დღეს განაცხადა მოზამბიკის — განთავისუფლების ფრონტის თავმჯდომარემ.

ტეტეს პროვინციაში დამსჯელებმა აწამეს ქალაქ მუკუმბურის ახლოს სოფელ შანგის მცხოვრებლები, დახოცეს სოფლების კაპინგისა და კატაშის 14 მცხოვრები, სოფელ მაკანდის 7 მცხოვრები.

კოლონიალისტმა დაქირავებულებმა მთლიანად დაანგრიეს სოფლები კაპონგა და კანქემბენქემბა. სოფლების ჩანგვეს, ზამბეზიის, ანტონიოს, მაკანდისა და კატაშის მთელი მოსახლეობა ტყეში გაიხიზნა, რათა თავი დაეღწია დამსჯელთა მხეცობისათვის.

მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობისადმი ტერორი ადასტურებს კოლონიზატორთა ბანაკში არსებულ შეშფოთებას, რაც გამოწვეულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებებით.

მან თქვა, რომ პორტუგალიის ჯარებში, რომლებიც სადამსჯელო ოპერაციებს ეწევიან თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, მონაწილეობენ სამხრეთ როდეზიის რასისტული რეჟიმის ჯარისკაცები.

დამასკო სროლა საზღვარზე

13 აგვისტო. (საქდესი). როგორც სირიის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა განაცხადა, იორდანიის ჯარების ქვეგანაყოფმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები, გუშინ საღამოს ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა სირიის საკონტროლო სამუშაოს დერააისა და რამტის სასაზღვრო დასახლებული პუნქტების მახლობლად.

სირიის მხარემ ცეცხლითვე უპასუხა.

სამხედრო წარმომადგენლის სიტყვით, სროლის შედეგად მოსპეს იორდანიის „ცენტურიონის" ტიპის ოთხი ტანკი. სირიის მხარეს ზარალი არ მოსვლია.

ნიუ-იორკი პოლიტიკურ პატიმართა ხვედრი

13 აგვისტო. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ომის საწინააღმდეგო მოძრაობის ცნობილი მოღვაწე მღვდელი ფილიპ ბირიგანი, რომელიც საპყრობილეშია გასაწვევი დოკუმენტების მოსპობის გამო ვიეტნამის ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, და კიდევ 10 პატიმარი ფარულად გადაიყვანეს დენბერის (კონექტიკუტის შტატი) ფედერალური საპატიმროდან სპრინგფილდის (მისურის შტატი) პატიმართა ფედერალურ სამედიცინო ცენტრში.

ბერიგანის ადვოკატმა განაცხადა, რომ პატიმარნი „დასაჯეს" გასული კვირის დამლევს გამოცხადებული შიმშილობის გამო. ამრიგად ტყვეებმა გამოთქვეს პროტესტი ამერიკის საპატიმროებში პოლიტიკურ პატიმართა ხვედრის წინააღმდეგ.

ომის საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილეებმა ამ დღეებში მოაწყვეს დემონსტრაციები და მიტინგები დენბერის საპატიმროს შენობის წინ. გამოსულთა შორის იყვნენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორიც არიან დევიდ დელინჯერი, დენიელ ელსბერგი, რომელსაც მოელის პატიმრობა გაზეთებისათვის პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტების გადაცემის გამო, და სხვები.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პ. იაროშევიჩის მოწვევით ვარშავაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი.

● **ჩილეს მემარჯვენე პარტიათა წარმომადგენლების ჯგუფ**მა სპილენძის მადნის საწარმოს „ჩუკიკამატის" უმაღლეს ტექნიკურ პერსონალს შორის მოაწყო ერთ-ერთი ქვესადგურის საბოტაჟის აქტი. ქვესადგური ელექტროენერგიით ამარაგებს ამ საწარმოს. ამის გამო რამდენიმე საათით შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, რამაც დააზარალა წარმოება.

● **ინდოეთი თავის პირველ** დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრს გაუშვებს 1974 წელს. განაცხადა პარლამენტში ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ. უკლებლივ ყველა დეტალს ინდოეთის სპეციალისტები დაამზადებენო საზღვარგარეთის დაუხმარებლად, დასძინა ი. განდიმ.

● **ხელისუფლების სათავეში** სახალხო ერთიანობის მთავრობის ჩადგომის შემდეგ ჩილეში ექსპროპრიირებულია 2.162.869 ჰექტარი საერთო ფართობის 11.41 მამული.

● **სირიის არაბთა რესპუბლიკამ** დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა იორდანიასთან. სირიის გადაწყვეტილება აიხსნება იმით, რომ იორდანიის ხელისუფალნი უგულებელყოფენ არაბი ერის ღონისძიებებსა და მისწრაფებებს, რომელთა მიზანია დარაზმონ მთელი ძალები ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

● **ზაგრებს გადაუარა გრიგალმა**, რასაც თან ახლდა სეტყვა. ბევრ საცხოვრებელ უბანში გამოირთო სინათლე, წყალი და ტელეფონი. დაზიანებულია 150-ზე მეტი ავტომანქანა. არიან დაშავებულნი. გრიგალისაგან მიყენებული ზარალი მილიონ დინარს აღემატება.

● **ბრნოელმა მუშამ ი. პასეკამ** დაიჭირა კალმახი, რომელიც ექვს კილოგრამს იწონიდა და სიგრძით 84 სანტიმეტრს აღწევდა. ბრნოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის იხთიოლოგებმა, სადაც მებადურმა მიიტანა თავისი ნადავლი, განაცხადეს, ამოდენა კალმახი ჩეხეთში ას წელზე მეტი ხანია არ დაუჭერიათ. ეს იშვიათი კალმახი მუზეუმის ექსპონატი გახდება.

ათასნაირი ამბები

□

მინი-ქალაქი ბავშვებისათვის

ბუდაპეშტი. ამას წინათ უნგრეთში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ჩილებრგის ცენტრალურ პიონერულ ბანაკში, რომელიც მდებარეობს ბუდაპეშტის ბუდის მხარეზე, შექმნან მინი-ქალაქი ბავშვებისათვის და განალაგონ იქ მსოფლიოს განთქმულ არქიტექტურულ ნაგებობათა დაპატარავებული პირები. აქ შესაძლებელი იქნება დაინახონ ლენინგრადის ზამთრის სასახლე, ეგვიპტის ერთ-ერთი პირამიდა, ათენის აკროპოლი, პიზის კოშკი, რომელიც გვერდზე იხრება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობა, ბრიუსელის ატომიუმი და სხვა.

შესანიშნავი საჩუქარი

ქაბული. ავღანეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე განლაგებულია მწვანეში ჩაფლული კომპლექსი მიმზიდველი შენობებისა. ეს არის დედისა და ბავშვის ცენტრი — საბჭოთა ხალხის მიერ ქაბულის პატარა მოქალაქეებისათვის მიძღვნილი საჩუქარი. ლამაზად გაფორმებულ შენობებში მოთავსებულია საბავშვო ბაღი და ბაგა 250 პატარისათვის, მომსახურების ბლოკი და ამბულატორია. აქ ხუთი კორპუსია, სადაც არის ვრცელი ნათელი ოთახები თამაშობისათვის, საწოლი, გასახდელი ოთახები. კორპუსები ერთმანეთთან შეერთებულია მზისაგან დასაცავი გალერეით, რომელიც ადმინისტრაციული შენობისაკენ მიდის. ცენტრში კარგად არის დაყენებული ბავშვებისა და მათი დედების ჯანმრთელობისადმი მეთვალყურეობის სამსახური.

ცენტრის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვაში ავღანეთის ქალთა საზოგადოების თავმჯდომარემ ქალბატონმა სალეჰა ფარუკ ეტემადიმ მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს ამ შესანიშნავი საჩუქრისათვის. მან აღნიშნა, რომ ამ ცენტრის მოწყობა დიდი დახმარებაა ავღანელი ქალებისათვის ბავშვების აღზრდაში.

ნიანგების ფერმა

დელი. თუმცა ინდოეთში ნიანგების აღწერა არ მომხდარა, მაგრამ ცნობილია, რომ მათი სულადობა კატასტროფულად მცირდება. ადგილობრივ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ნიანგთა მოდგმის რიცხვი ინდოეთში უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე სანახევროდ და მეტად შემცირდა. ახლა სულ უფრო ძნელი ხდება ამ ქვეწარმავალთა დაჭერა უღრანსად მეცნიერული მიზნებისთვისაც კი.

ალიგატორების სრული გაქრობა თავიდან რომ აიცილონ, ინდოეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შექმნას დელის ზოოპარკში სპეციალური ფერმა ამ რეპტილიების მოსაშენებლად. საინტერესო ცდა ჯაიპურის ზოოპარკისა, სადაც ახლა სპეციალურ გალიაში დაიდეს ნიანგების ადგილობრივი წყვილის 27 ასერამიანი ნაშიერი, მოწმობს, რომ მათი მოშენება სავსებით რეალური საქმეა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბევრ ქვეყანაში ნიანგებს კომერციული მიზნით აშენებენ და ცოცხლების ქეიდიან ცალს 4-5 ათას რუპიად. ინდოეთში ახლა სულ უფრო ხშირად ფიქრობენ იმაზე, თუ რა ეკონომიურ სარგებლობას მიიღებს ქვეყანა, მეწინანგეობას რომ შექმნიდეს.

ახალი ამბების სააგენტო.

მართვის მეცნიერება

2.

ყრილობაზე დიდი ყურადღება მიექცა მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფას. ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა იმის აუცილებლობას, რომ გავადიდოთ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სხვა სამმართველო ორგანოების, განსაკუთრებით სამინისტროებისა და უწყებების როლი. ამ ორგანოების ფუნქციების დაზუსტება, მათი განთავისუფლება მიმდინარე საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილისაგან შესაძლებლობას მისცემს მათ ყურადღება მიაპყრონ სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად პრობლემებს. მართვის სრულყოფაში დიდი მნიშვნელობა აქვს მინდობილი საქმისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ლენინური პრინციპის თანმიმდევრულად გატარებას, უფლებათა და მოვალეობათა მოცულობისა და თანაფარდობის, პასუხისმგებელ პირთა თანამდებობრივი პასუხისმგებლობის ზუსტად განსაზღვრას, მმართველობაში მრავალსაფეხურიანობის, მუშაობაში დუბლირების, ერთი ინსტანციიდან მეორეში გადაწყვეტილებათა გადაცემ-გადმოცემის აღმოფხვრას, ადმინისტრაციული თვითნებობის, სუბიექტივიზმის, მოუფიქრებელ გადაწყვეტილებათა ყოველი შესაძლებლობის ლიკვიდაციას.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმოების შემდგომ კონცენტრაციას. წარმოების კონცენტრაციის თანამედროვე ფორმაა მსხვილი საწარმოო გაერთიანებანი, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი, მეცნიერულ-ტექნიკური იდეების დანერგვის ფირმები, კომპლექსური ინსტიტუტები, „ინსტიტუტ-ქარხნის“ კომპლექსები და სხვ. გაერთიანებებისა და კომბინატების უმნიშვნელოვანესი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წარმოადგენენ არა კონგლომერატს, არა მათ შემადგენელ საწარმოთა და ორგანიზაციათა უბრალო ჯამს, არამედ მთლიან სისტემას, ერთიან კომპლექსს, რომლის ელემენტები ურთიერთდაკავშირებული არიან და ურთიერთმოქმედებენ საერთო მიზნის, სპეციალიზაციის, კოოპერაციისა და შრომის განაწილების საფუძველზე.

საბჭოთა ქვეყანაში ყველაზე მეტად გავრცელდა საწარმოო და მეცნიერულ-საწარმოო გაერთიანებანი, აგრეთვე მსხვილი საწარმოები სპეციალიზებულ საწარმოთა ქსელით. 1970 წლის აგვისტოსათვის ამ ტიპის გაერთიანება და საწარმო ექვსასზე მეტი ითვლებოდა. მათს ეფექტურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თუ მთლიანად სსრ კავშირის მრეწველობაში წარმოების მოცულობის ზრდა 1969 წელს 1968 წელთან შედარებით 7 პროცენტს შეადგენდა, გაერთიანებებში შეადგენდა 8,5 პროცენტს, შრომის ნაყოფიერების ზრდა — შესაბამისად 5 და 7,1 პროცენტს.

გაერთიანებანი, როგორც გამოცდილებამ ცხადყო, წარმოადგენენ მართვის ერთ-ერთ ყველაზე მიზანშეწონილ ორგანიზაციულ ფორმას, რომელიც შესაძლებელს ხდის, რომ ხელმძღვანელობის დარგობრივი პრინციპი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ყველაზე ეფექტური, შევახამოთ საწარმოთა იმ დამოუკიდებლობასთან, რომელსაც სამეურნეო რეფორმა იძლევა.

„საჭიროა, — ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, — კვლავაც განვახორციელოთ წარმოების კონცენტრაცია საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებისა და კომბინატების შექმნის გზით, რომლებიც პერსპექტივაში საზოგადოებრივი წარმოების ძირითადი სამეურნეო-საანგარიშო რგოლები უნდა გახდნენ“.

ეკონომიური სტიმულირების გაძლიერება მართვის სრულყოფის კიდევ ერთი მიმართულებაა. სამეურნეო რეფორმამ გამოხატა პარტიის კურსი იმისათვის, რომ სწორად შევახამოთ სადირექტივო ცენტრალიზებული დავალებანი იმ ეკონომიური ბერკეტების გამოყენებასთან, რომლებიც დაკავშირებული არიან საქონლისა და ფულადი ურთიერთობის — სამეურნეო ანგარიშის, ფასის, მოგების, კრედიტის ურთიერთობასთან, მატერიალური წახალისების ფორმების ურთიერთობასთან და ა. შ.

რამდენადაც სტიმულირების ფონდები იქმნებოდა არა საბიუჯეტო ასიგნობათა ანგარიშზე, არამედ საწარმოთა კოლექტივის მიერ პროდუქციის გამოშვების და ზეგეგმითი მოგების მიღების დამატებით ვალდებულებათა შესრულების შედეგად, რეფორმამ ხელი შეუწყო შინაგანი რესურსების გამოვლინებასა და გამოყენებას.

მაგრამ ცხოვრება, როგორც აღინიშნა სკკპ XXIV ყრილობაზე, მოითხოვს სტიმულირების სისტემის შემდგომ გაუმჯობესებას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შეიქმნას ისეთი ეკონომიური პირობები, რომლებიც სტიმულს აძლევდნენ საწარმოებს მიიღონ დაძაბული გეგმები, უფრო რაციონალურად გამოიყენონ კაპიტალდაბანდებანი და შრომითი რესურსები; მაქსიმალურ სტიმულს აძლევდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპებს, შრომის ნაყოფიერების ზრდას; ყველა ღონისძიებით უწყობდნენ ხელს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. ყრილობამ აგრეთვე აღნიშნა, რომ საჭიროა თანმიმდევრულად დავნერგოთ სამეურნეო ანგარიში, მეურნეობის როგორც ძირეულ (საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ა. შ.), ისე ზემდგომ ორგანოებში, აგრეთვე სრულვყოთ შრომის მიხედვით ანაზღაურება.

ვამაღლებთ რა მატერიალური სტიმულირების როლს, ვაფართოებთ რა მათი გამოყენების სფეროს, საჭიროა შევახამოთ მატერიალური სტიმულები მორალურთან, ავამაღლოთ შრომის მორალური სტიმულების მნიშვნელობა. მატერიალური სტიმულირების გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს შეიცავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უკვე მოხსენიებული დადგენილება. კერძოდ, წესდება სტაბილური ნორმატივები მოგებიდან ანარიცხის ეკონომიური სტიმულირების ფონდებში, რათა ხუთწლედის განმავლობაში აღმოვფხვრათ გაუმართლებელი, ზოგჯერ მკვეთრი განსხვავებანი სხვადასხვა დარგის საწარმოებში. მატერიალური წახალისების ოდენობაში. ამასთან ეკონომიური სტიმულირების ფონდები იქმნება ისეთი ოდენობით, რომ დაცული იყოს ხელფასის ზრდის, შრომის ნაყოფიერების, მოგებისა და სხვა გეგმიანი მაჩვენებლების მეცნიერულად დასაბუთებული პროპორციები.

გათვალისწინებულია ახალი ტექნიკის ათვისების ფონდების შექმნის ამჟამად მოქმედ ნორმატივებში შეტანილ იქნას ცვლილებანი მისი ათვისებისათვის დანახარჯების, მათ შორის პირველი წლის გადიდებული დანახარჯების, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში (სამინისტროს ნებართვით) ახალი პროდუქციის სერიული წარმოების, აგრეთვე მეორე წლის დანახარჯების უფრო სრულად ანაზღაურების მიზნით. დადგენილება უზრუნველყოფს უკეთეს პირობებს იმ საწარმოთა წახალისებისათვის, რომლებიც წარმატებით ეწევიან ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებას.

მართვის სრულყოფის მიზნით, აღნიშნულია XXIV ყრილობის რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, საჭიროა „უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ორგანიზაციულ და ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკა, ავტომატიზებული სისტემები და მართვისა და დაგეგმვის მეცნიერული მეთოდები“.

საბჭოთა ქვეყანაში სწრაფად იზრდება ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების წარმოება, გამოთვლითი ცენტრების ქსელი. 1970 წელს მოქმედებდა 250-ზე მეტი გამოთვლითი ცენტრი მარტო საწარმოებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში, შექმნილია მესამე თაობის ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანები. ასეთია, მაგალითად „ნაირი-3“, რომელიც განირჩევა მრავალპროგრამიანობით, ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტის უნარით.

სწრაფი ტემპებით ხორციელდება ნაწარმოების ავტომატიზაცია ათ წელიწადში (1961-1970 წლები) გასამკეცდა დადგმული ავტომატური ხაზების რაოდენობა, ოთხჯერ გადიდდა ავტომატიზებული უბნების რიცხვი; ხუთჯერ — ავტომატიზებული საამქროებისა. 1970 წელს ჩვენს ქვეყანაში მოქმედებდა წარმოების მართვის ოთხასზე მეტი ავტომატიზებული სისტემა.

ყრილობის დირექტივებით მეცხრე ხუთწლედის შესახებ გათვალისწინებულია გაიშალოს მუშაობა დარგების, ტერიტორიული ორგანიზაციების, გაერთიანებების, საწარმოების დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნისა და დანერგვისათვის, ამასთან გათვალისწინებულია შეიქმნას საერთო-სახელმწიფოებრივი ავტომატიზებული სისტემა ინფორმაციის შეკრებისა და დამუშავებისა, სახალხო მეურნეობის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მართვისათვის გამოთვლითი ცენტრების სახელმწიფო ქსელის და ქვეყნის კავშირგაბმულობის ერთიანი ავტომატიზებული ქსელის ბაზაზე.

ხუთი წლის განმავლობაში უნდა ავამოქმედოთ მართვის 1.600 ავტომატიზებული სისტემა, რომელთაგან 150 საერთო საკავშირო რესპუბლიკური და დარგობრივი მნიშვნელობის დიდი სისტემებია; 3.000 გამოთვლითი ცენტრი და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური მართვის სისტემა. პერსპექტივაში ნავარაუდევია გაერთიანდეს ეს სისტემები მართვის ერთიან ავტომატიზებულ სისტემად მთელი ქვეყნის მასშტაბებით. მეცხრე ხუთწლედის დირექტივებით გათვალისწინებული გადიდება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების წარმოებისა 2,6 ჯერ შექმნის საიმედო თანამედროვე ტექნიკურ ბაზას სხვადასხვა დონეზე ინფორმაციისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების შესაქმნელად. უკვე 1972 წელს სსრ კავშირში და ზოგიერთ სხვა სოციალისტურ ქვეყანაში დაიწყება თანამედროვე პროგრამულ-შეთავსებადი ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების წარმოება ინტეგრალური სქემებით. ეს იქნება ერთიანი რიგი ექვს-ექვსი მანქანისაგან, რომელთა ანგარიშის სიჩქარე იქნება 10 ათასიდან 2 მილიონ ოპერაციამდე წამში.

3.

მიუხედავად უდიდესი პერსპექტივებისა, რომლებსაც თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა, განსაკუთრებით კიბერნეტიკა იძლევა მართვის სრულყოფაში, გადაჭარბებით არ უნდა შევაფასოთ და მით უმეტეს აბსოლუტიზაცია არ უნდა მოვახდინოთ ტექნიკის როლისა მართვაში. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ მართვის მთავარი სუბიექტი და ობიექტი არიან ადამიანები, სოციალური კოლექტივი. სწორედ ადამიანებს ეკუთვნით გადამწყვეტი როლი წარმოებაზე, საზოგადოებაზე შეგნებულ, მიზანმიმართულ ზემოქმედებაში. ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებებს, აწყობენ და საბოლოო ანგარიშით კონტროლს უწევენ მათს შესრულებას. იმაზე, თუ როგორ არიან ადამიანები მომზადებულნი, როგორ არიან ისინი განაწილებულნი ეკონომიური ორგანიზმის სხვადასხვა რგოლში, როგორ ეკიდებიან საქმეს, რამდენად დისციპლინირებული და პასუხისმგებელნი არიან, დამოკიდებულია მართვის წარმატება, წარმოების ეფექტურობა. სწორედ ამიტომ სკკპ XXIV ყრილობამ განსაკუთრებული ძალით აღნიშნა მშრომელთა განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლების, მართვის კადრების, ხელმძღვანელების სისტემატიზებული მომზადებისა და გადამზადების [illegible] ამაღლების სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა.

პარტიისა და ქვეყნის წინაშე მდგომი დიდი და რთული ამოცანები, აღნიშნულია ყრილობის რეზოლუციაში, დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ხელმძღვანელი კადრები სრულყოფილად ფლობდნენ მართვის თანამედროვე მეთოდებს, ჰქონდეთ ახლის გრძნობა, ხედავდნენ განვითარების პერსპექტივას, უნარი ჰქონდეთ მიაგნონ წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტის ყველაზე ეფექტურ გზებს, გამოიყენონ სხვების გამოცდილება და ცოდნა.

ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანა კვლავ არის მშრომელთა სულ უფრო ფართოდ ჩაბმა წარმოების მართვაში, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება.

წარმოების, სოციალური ცხოვრების უდიდესი გართულების შედეგად სულ უფრო და უფრო ძნელი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, შეუძლებელი ხდება სწორ გადაწყვეტილებათა მიღება ერთი ცენტრიდან, რა დიდი და კომპეტენტურიც უნდა იყოს იგი. აქედან სულ უფრო მეტად საჭირო ხდება მმართველობის ფუნქციების განაწილება ორგანოთა და ორგანიზაციათა მეტ წრეზე, პიროვნებათა მეტ წრეზე, მშრომელთა სულ უფრო ფართო მასებზე.

მმართველობაში მასების ჩაბმის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და ეფექტური ფორმაა მუდმივ მოქმედი საწარმოო თათბირები საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, მუშათა კრებები, კოლმეურნეთა საერთო კრებები.

პარტიისა და სახელმწიფოს ეკონომიურ პოლიტიკას იმუშავებენ მშრომელთა წარმომადგენლები არჩევით ორგანოებში, მათი ფართო მონაწილეობით დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და გეგმების განხილვაში.

საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი აქტივობის უდიდესი დადასტურება იყო მეცხრე ხუთწლედის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვა. პარტიულ კრებებზე, კონფერენციებზე, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ყრილობებზე, გაზეთების, ჟურნალების რედაქციებში გაგზავნილ ათასობით და ათასობით წერილში, რადიოთი და ტელევიზიით მილიონობით მშრომელმა შეიტანა უამრავი წინადადება, რომელთა მიზანია ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება წარმოების, საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის მართვის სრულყოფა.

მილიონობით მუშა, კოლმეურნე, მოსამსახურე იღებს მონაწილეობას სახალხო კონტროლის ორგანოებისა და ორგანიზაციების მუშაობაში. დიდია პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პროფკავშირების, კომკავშირის როლი მეურნეობის მართვაში.

პარტია, აღინიშნა ყრილობაზე, კვლავაც სრულყოფს და განავითარებს სოციალისტური დემოკრატიის ყველა ფორმას.

წარმოების, საზოგადოების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობისადმი, ის არის, რომ „ორგანულად შევაერთოთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან, უფრო ფართოდ განვავითაროთ წარმოებასთან მეცნიერების შეერთების ჩვენი, სოციალიზმის შესაბამისი ფორმები“.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხალხი, რომელსაც კომუნისტთა პარტია ხელმძღვანელობს, წარმატებით გადაწყვეტს ამ ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას.

ვ. აფანასიევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლი ბუნებისა

მიწის სიღრმის თერმული წყლების კომპლექსური გამოყენებისათვის

საქართველოს რესპუბლიკას, როგორც გამოთვლები გვიჩვენებენ, გეოთერმული სითბოს პრაქტიკულად დაუშრეტელი რესურსები აქვს. რაც მთავარია, ძირითადი წყალშემცველი სიღრმის სითბოს ჰორიზონტები გავრცელებულია საქართველოს დასავლეთი ნაწილის მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში.

სიღრმის ბუნებრივი ცხელი და გადახურებული წყლების ბაზაზე, რომლებიც დიდ ტემპერატურასთან ერთად ხასიათდებიან მაღალი მარილიანობით და წყალში გახსნილი საწვავი გაზებით, ამ წყლებისაგან შეიძლება ელექტროენერგიის წარმოება, სხვადასხვა ორგანულ ნივთიერებათა მიღება, განუზომელია მისი მნიშვნელობა აგრეთვე დასახლებული პუნქტების, საწარმოო ობიექტების და სხვათა თბოფიკაციისათვის.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თერმული წყლების სოფლის მეურნეობაში გამოყენება, რაც საშუალებას მოგვცემს მსხვილი დასახლებული უბნების ახლოს შევქმნათ მძლავრი სასათბურე მეურნეობები და ზამთრობით დიდი რაოდენობით ვაწარმოოთ ძვირფასი ბოსტნეული კულტურები იაფი დანახარჯებით.

დღემდე თერმული წყლების სითბური ენერგია პრაქტიკულად თითქმის გამოუყენებელი არ არის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთეულ სამეურნეო დაწესებულებებს და საწარმოო ობიექტებს.

არსებული ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოების მასალების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველოში — კერძოდ კოლხეთის დაბლობის ზონაში ყველა მჭიდროდ დასახლებული პუნქტის თბოფიკაცია ცხელი წყლების ბაზაზე საკმაოდ რეალური საქმეა და დიდად ეკონომიური იქნება, რადგან წყლის მაღალ ტემპერატურასთან ერთად ჭაბურღილებს მიწის ზედაპირთან საკმაოდ დიდი ჰიდროდინამიკური წნევა აქვთ (18-20 ატმოსფერო), რაც უზრუნველყოფს ამ წყლების თვითდინებით მიწოდებას მომხმარების პუნქტებამდე. მომავალში დასახლებული პუნქტების თბომომარაგებისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მიწისქვეშა თერმული წყლებიდან მიღებული სითბური ენერგია.

თერმული წყლების პრაქტიკულად გამოყენების საკითხი უკვე კარგახანია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყურადღების ცენტრშია.

მიუხედავად გარკვეული მუშაობისა, რომელიც რესპუბლიკის ორგანიზაციებმა თერმული წყლების მარაგის გამოვლინებისა და გეოთერმული თბომომარაგების მთელი რიგი სამეცნიერო-ტექნიკური საკითხების შემუშავებისათვის ჩაატარეს, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში თერმული და მაღალთერმული წყლების კომპლექსურად გამოყენება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

საქართველოში ამჟამად გაბურღილი 20-ზე მეტი ღრმა ჭაბურღილიდან, რომელთა ტემპერატურა 70-100 გრადუსს აღწევს, მიწის სიღრმის სითბოს გამოყენების სარეწაო უბანს ექსპლოატაციისათვის ჩაბარებული აქვს მხოლოდ 10, დანარჩენი კი იმყოფება სხვადასხვა ორგანიზაციების განკარგულებაში და ბურღილების თავმორთულობის ტექნიკურად უვარგისობის გამო წყლები უმიზნოდ იღვრება და აჭაობებს ახლომახლო ტერიტორიებს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ცაიშის (ზუგდიდის რაიონი) და ოხურეის (ოჩამჩირის რაიონი) სასათბურო მეურნეობათა მშენებლობა, ვადა მათი დამთავრებისა დიდიხანია გასულია.

საქართველოს საწარმოო გეოლოგიურ სამმართველოს და ტრესტ „საქნავთს“ დავალებული აქვთ მიმდინარე წლის სექტემბრამდე საექსპლოატაციოდ გადასცენ დღემდე გაყვანილი თერმული წყლების ჭაბურღილები, ხოლო მომავალში ის ჭაბურღილებიც, რომლებიც გაიბურღება რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მათში გამოვლინდება 40 გრადუსზე მეტი ტემპერატურის მქონე თერმული წყლები.

კავკასიის მიწის სიღრმის სითბოს გამოყენების სამმართველოს საქართველოს სარეწაო უბანს წინადადება აქვს მიცემული მიმდინარე წლის განმავლობაში უზრუნველყოს ჭაბურღილების თავმორთულობის კეთილმოწყობა და ონკანურ რეჟიმზე გადაყვანა, თერმული წყლების სანიტარული ზონის დაცვის პროექტების შედგენა.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მინდობილი აქვს ცაიშის და ოხურეის ჭაბურღილების ბაზაზე უზრუნველყოს სასათბურო მეურნეობის მშენებლობის დამთავრება და თერმული წყლების მაქსიმალურად გამოყენება.

მიწის სიღრმის სითბოს გამოვლინებისა და შესწავლის სამუშაოთა კოორდინაცია დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თერმული წყლების გამოვლინებისა და სახალხო მეურნეობაში გამოყენების მუდმივ კომისიას.

საქართველოს დასავლეთი ნაწილის ბუნებრივი ცხელი წყლების გავრცელების ფართობი და ჰიდროგეოლოგიური რესურსები საშუალებას იძლევა კოლხეთის დაბლობზე არსებული მსხვილი დასახლებული პუნქტები უახლოეს მომავალში გადავიყვანოთ გეოთერმულ თბომომარაგებაზე, რისთვისაც საჭირო იქნება დამატებითი ღრმა ჭაბურღილების გაყვანა, რადგან მძლავრი თერმული წყალშემცველი ჰორიზონტები დიდ სიღრმეზე იმყოფება.

საჭიროა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა (ჰიდროგეოლოგებმა, ქიმიკოსებმა, ენერგეტიკოსებმა, აგრონომებმა და მელიორატორებმა) უფრო შეთანხმებულად იმუშაონ, რათა ჩვენი რესპუბლიკის გეოთერმული ბუნებრივი ცხელი წყლის ენერგია უმოკლეს ვადაში ჩავაყენოთ ხალხის სამსახურში.

ი. ლალიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ლამაზად და გემოვნებით აქვს გაფორმებული „სოიუზპეჩატის“ ჯიხური ივანე მალალაშვილს. იგი თავისი საქმის ოსტატია. ჯიხურთან რომ მიხვალთ, პატარა ფანჯარაში დაინახავთ ხანშიშესულ ალერსიანი სახის მამაკაცს, რომელიც თავაზიანად შეგირჩევთ თქვენთვის საჭირო ჟურნალ-გაზეთებს. ამიტომ იშვიათად გაივლის აქ მყიდველი ისე, რომ არაფერი შეიძინოს. ყოველთვიურად ივანე მალალაშვილმა ათასი მანეთი უნდა ივაჭროს, ასეთია გეგმა, მაგრამ მუშაობის რვა წლის განმავლობაში იგი გეგმას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. ივანე მალალაშვილი მრავალჯერ დააჯილდოეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო სიგელებით.

მართლაც რომ საქებია ივანე მალალაშვილის ალალი შრომა.

სურათზე: ი. მალალაშვილი.

ფოტო ვ. მორგუნოვისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

როდის გვექნება გზა და ხიდი?!

ქვედა ღვარდია მაღალმთიანი სოფელია ამბროლაურის რაიონში. აქაურ შრომისმოყვარე კოლმეურნეებს შესანიშნავი სიმინდის ყანები, ხეხილის ბაღები და საკარმიდამო ნაკვეთები აქვთ. სუფთა ჰაერი და თვალწარმტაცი ბუნება ბევრ მოაგარაკეს იზიდავს ზაფხულობით.

მაგრამ სოფელი სრულიად კეთილმოუწყობელია. განსაკუთრებით ეს ითქმის გზების შესახებ. ადრე სოფელში მისასვლელი გზა შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, შემდეგ დროთა განმავლობაში იგი წყალმა ჩარეცხა, მის შეკეთებაზე კი არც კოლმეურნეობის გამგეობამ და არც ცახის სასოფლო საბჭოს მესვეურებმა არ იზრუნეს. წვიმიან ამინდში ჩვენს სოფელში არათუ ავტომანქანები, ურემიც ვერ მიდის. მთის მდინარე შარეულაზე გადებული ხიდი ხშირად ფუჭდება. მდინარე როგორც კი ადიდდება, მოწაფეები სკოლაში ვერ მიდიან უგამცილებლოდ.

შვიდი წლის წინათ ღვარდიელებმა გადავწყვიტეთ ჩვენი სახსრებითა და საშუალებებით შეგვეკეთებინა სოფელში მისასვლელი გზა. ავირჩიეთ თავკაცი, შევაგროვეთ თანხა, მაგრამ გზის მთლიანად შეკეთება მაინც ვერ შევძელით, ვერ ვიშოვნეთ თანამედროვე ტექნიკა — ბულდოზერები და ექსკავატორები.

ლ. უგრეხელიძე,

ნ. მოწონელიძე,

ამბროლაურის რაიონის სოფელ ქვედა ღვარდიის მცხოვრებლები.

ტანძია არ უნდა დაცარიელდეს

საქართველოში თითქმის ყველამ იცის ტანძია, სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი. იგი ბოლნისის რაიონში მდებარეობს. ვისაც კლდოვან ბორცვებზე ჩადუღებული ქვეშის ციხე უნახავს, მერე ალიშანას მცირე ხეობას ზემოთ აჰყოლია და აქოჩრილ ქედის ძირას მწყერივით განაბული ტანძია დაუთვალიერებია, დიდხანს ვერ დაივიწყებს მის მომხიბვლელობას. რა არ გადახდენია ამ სოფელს. მაგრამ დღემდე მაინც მოუღწევია და შთამომავლობისათვის გადაუცია თავისი სახელოვანი შვილის ფაქიზი სიყვარული. სოფლის თავში ორბელიანთა ნამოსახლი, მეწამული ქვით ნაგები, ტანკენარი ეკლესია და მარმარილოში ნაკვეთი სულხან-საბა ორბელიანის ქანდაკებაა.

ეს ადგილი წმინდათა წმინდაა ტანძიანელთათვის. ჩასულ კაცს მაშინვე მეგზურობას გაუწევენ, დაუფარავი სიამაყით გაუძღვებიან წინ და გზადაგზა ხალისით უამბობენ თანასოფლელი ბრძენის განუზომელ ღვაწლსა და საოცარ თავგადასავალს.

უმზერ ამ თვალწარმტაც სოფელს, ფერდობებზე დაღლილივით ჩამუხლულ ისტორიულ ძეგლებს, ქარტეხილებთან ბრძოლაში დაბრძენებულ კაკლის ხეებს, და კმაყოფილებასთან ერთად სინანულიც გიპყრობს — სოფელს აკლია მზრუნველი ხელი. გზა ძალიან ცუდია, უამინდობის დროს თითქმის გაუვალი ხდება, ამიტომ მწირად ხუმრობენ ტანძიელები, ჩვენს სოფელში ამოსვლას დარუბანდში წასვლა სჯობიაო. სწორედ უგზოობაა იმის მიზეზი, რომ ტანძია რაიონის ცენტრთან ავტობუსით დაკავშირებული არ არის, სოფელს კლუბი არა აქვს, მხატვრულ თვითმოქმედებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, კინოსურათებს იშვიათად უჩვენებენ.

ტანძიას არა აქვს სარწყავი წყალი. ძველათ ეს სოფელი მდინარე შოშინეთიდან გამოყვანილი რუთი ირწყვებოდა. მოუვლელობის გამო, ჩვენი საუკუნის დამდეგს, არხი გაფუჭებულა და მისი განახლება დღემდე არავის უცდია. ყოველივე ამით არის განპირობებული, რომ დღევანდელ ტანძიაში მოხუცებს უფრო შეხვდებით, ვიდრე ახალგაზრდებს. სოფელს დაცარიელების საფრთხე ემუქრება, მხოლოდ ორმოციოდე კომლია დარჩენილი. ისინი, ვისაც მამაპაპისეული საძვალე ვერ დაუთმია, ყველა ჩამომსვლელს შესჩივიან შვილთა მოუსვლელობაზე, კარმიდამოთა გატიალებაზე...

ტანძიელები სიცოცხლისუნარიანი, გამრჯე და შრომისმოყვარე ხალხია. იქ კიდევ შეხვდებით შვიდ-რვა, და ცხრაშვილიან ოჯახებს. მაგრამ რა, პატარები წამოიჩიტებიან თუ არა, ბუდიდან ამოფრინდებიან და ტანძიაში მხოლოდ სტუმრად თუ ჩამოვლენ. მარჯვენამოუღლელი, წლებით დამძიმებულ მხენელ-მთესველებს კი შემცვლელი სჭირდება.

— ჩემი ბიჭები რუსთავში სიცხეში იწუხებიან, მე კი მათ ნატვრაში ამომდის სული, — გაგვიზიარა თავისი დარდი ოთხმოცდაექვსი წლის მოხუცმა ივანე აბრამიშვილმა. — აბა გზაკვალი და სარწყავი წყალი იყოს აქ, მაშინ თუ წავლენ სხვაგან!

არ შეიძლება არ დაეთანხმოთ ამ მრავლისმომსწრე კაცს. ადამიანი ყველგან საჭიროა. მაგრამ ის კერა, სადაც შობილხარ და გაზრდილხარ, მხოლოდ დასასვენებელ ადგილად არ უნდა იქცეს. სოფლიდან ბუნებრივი ნამატი აუცილებელია წავიდეს, რათა შეიქმნას ახალი ქალაქები, ახალი სოფლები, მაგრამ ბუდე ბუდედ უნდა დარჩეს!

ტანძიის, ამ ისტორიული სოფლის დაცარიელება დაუშვებელია! და განა მარტო ტანძიისა! საქართველოში მთის ბევრ სოფელს სჭირდება განსაკუთრებული მზრუნველობა და, პირდაპირ ვიტყვით, გადარჩენა.

ლ. ფრუიძე,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ახალი ფოსტიდან

● ტყიბული. ამ დღეებში სტალინის სახელობის შახტის კლუბში გაიმართა ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საღამო. მოხსენება თემაზე — „ხალხთა ლენინური მეგობრობა“ გააკეთა საშახტო კომიტეტის თავმჯდომარემ უ. გოგლიძემ. თანამოხსენებით — „ქართველი და რუსი ხალხის ტრადიციული მეგობრობა“ გამოვიდა მეშახტეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ნოვატორი მეშახტე ლ. კირკიტაძე. „აი როგორ ვმეგობრობთ“ — ამ საკითხზე ილაპარაკეს შახტის თანამშრომლებმა ნადია ნიკიტინამ და თამარ გაბრიაძემ.

მეგობრობის საღამოზე ამ ორ მეგობარს რუსსა და ქართველს — საშახტო კომიტეტმა გადასცა სამატორიუმის უფასო საგზურები. ისინი თავიანთ შვებულებას ერთად გაატარებენ აგარაკზე.

ვ. ცისკარიძე.

● ახალციხე. ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება და ლამაზდება ქალაქი ახალციხე. შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები, ადმინისტრაციული შენობები, სავაჭრო თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სკვერები, მოედნები.

ამ დღეებში სადგურის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ხუთსართულიანი კომუნალური საცხოვრებელი სახლი. 40 ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლობა.

შ. მესხი.

● თელავი. სოფელ ფშაველში ახლახან მწყობრში ჩადგა მთელი რიგი ობიექტები, კერძოდ, საბავშვო ბაღი, საპარიკმახერო, ბლოკის საქრელი ქარხანა, მატყლის დამზადების პუნქტი...

სოფელ ლეჩურში მოეწყო სპორტული მოედანი, რომლის გარშემო დაირგო 120 ჯიშის სხვადასხვა სახის მარადმწვანე ხეები.

შ. ციხისთავი.

● ცაგერი. ლაშქალის აგარაკი კარგად არის ცნობილი ლეჩხუმში. აქ ყოველ ზაფხულობით მრავალი დამსვენებელი მოდის, ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა აგარაკის კეთილმოსაწყობად დამსვენებლების სამსახურში სასადილო-პავილიონი, საბაზანო ნაგებობა, პურის საცხობი. საცხოვრებელ ფონდს წელს სამი ახალი ბინა შეემატა.

ვ. ბეჟანიძე.



ქართული მედიცინის ფესვები

ძველი ქართული მედიცინის ისტორიული ფესვები ანტიკური ხანის შორეულ საუკუნეებში იღებს დასაბამს. ქართულ ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში დღემდე შემორჩენილია ძველი წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულის სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების ამსახველი მასალები. ძველი ქართული მედიცინა ერთ-ერთი პირველია მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა უძველეს მედიცინათა შორის. ქართული ისტორიული წყაროები, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული მასალები, ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ნაწერები ცხადყოფენ ძველი ქართული მედიცინის მაღალ დონეს კაცობრიობის განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე.

ქართული მედიცინის ისტორია, სამწუხაროდ, ძალიან გვიან ჩამოყალიბდა როგორც ცალკე მეცნიერება, ცალკე დისციპლინა, და ამიტომაც მას ნაკლებად იცნობენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის გარეთ, არამედ თვით ჩვენშიც. უკანასკნელ ხანებში გამოვლინებულ იქნა მრავალი სამედიცინო-კულტურული კერა როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ.

აღმოჩნდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული მედიცინის განვითარებაში, დამუშავდა ცალკეული უმნიშვნელოვანესი პრობლემები, დაიწერა ქართული მედიცინის ისტორიის მთლიანი ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, ჩამოყალიბდა ქართული მედიცინის ისტორიის სამეცნიერო-საკვლევო განყოფილება, მუზეუმი; მიღებულია ზომები ხალხური მედიცინის სამედიცინო ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესაკრებლად და შესასწავლად. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და გამოსავლინებელი. უძველესი ქართული სამედიცინო ძეგლები მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებია, ძველი ქართველი მკურნლები და ძეგლთა ავტორები საერთაშორისო რეზონანსის მეცნიერნი არიან, მათი სახელების გატანა საერთაშორისო არენაზე ისევე დაგვიანდა, როგორც საერთოდ ქართული მედიცინის ისტორიის შესწავლა.

ამჟამად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ **ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილზე.**

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი თავისი დიდი მეცნიერული სიღრმით, სამედიცინო-ბიოლოგიური ფართო დიაპაზონით ძალიან დიდი მოვლენაა ქართული მეცნიერული აზროვნების ისტორიაში. იგი 300-წლიანი „დიდი ღამისა“ და ქართული კულტურის დაცემის პერიოდის დასასრულის შემდეგ აღორძინების ხანის პირველი მაუწყებელია, ამ პერიოდის ბრწყინვალე წარმომადგენელია. ზაზას „სამკურნალო წიგნის“ შემდეგ იწყება ქართული სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების განახლება, აღორძინება.

ზაზა დაახლოებით 1420-1425 წლებშია დაბადებული, „სამკურნალო წიგნი“ კი დაწერილია 1479-1505 წლებში. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი თავისი დროის დიდი მოაზროვნე და მეცნიერი იყო. თანამედროვეთა მიერ იგი იხსენიება როგორც „დიდი მკურნალი“ და „ბრძენთმთავარი“. გარდა ამისა იგი იყო უაღრესად პროგრესული პიროვნება, იმ დროისათვის უსათუოდ სწორი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე... ის იბრძვის თავისსავე მთავარს—ყვარყვარე ათაბაგს, რომელიც მეფეს ღალატობს. ზაზას სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე თავისი ახალი სამთავროს (საციციანოს) კულტურული დაწინაურება, სკოლების გახსნა. ყინწვისის მონასტრის განახლება და მონასტრის ეკვდერის მიშენება, ლიტერატურული საქმიანობა და სხვ. ამგვარად, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი არა მარტო დიდი მკურნალი და მკურნალთა „ბრძენთმთავარია“, არამედ დიდი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეც.

მისი „სამკურნალო წიგნი“ ორ ტომად არის გამოცემული (1949-1959) და წარმოადგენს ორიგინალურ ნაწარმოებს, ძველი ქართული სამედიცინო ძეგლებისა და წყაროების საფუძველზე შექმნილს. იგი აღორძინების პერიოდის უბრწყინვალესი ძეგლია, რომლის ხელნაწერი თავისი დროზე ვახტანგ VI-ის მიერ იქნა რედაქტირებული და გატანილი რუსეთში. ზაზას ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის „სამკურნალო წიგნს“ საჭიროა იცნობდნენ ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიკოსები, მედიკოსები, უძველესი კულტურის მემატიანენი, რათა ძველი ქართული მედიცინის ამ ბრწყინვალე წარმომადგენელმა თავისი ადგილი დაიჭიროს სსრ კავშირისა და მსოფლიოს მედიცინის ისტორიაში.

სრულდება ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის დაბადების 550 წლისთავი. ქართველი მედიკოსი მეცნიერნი ვალდებული ვართ ჩვენი ამ სახელოვანი წინაპრის დაბადების ეს თარიღი შესაფერისად აღვნიშნოთ.

საჭიროა ამ თარიღს გამოეხმაუროს ჩვენი ფართო საზოგადოებრიობა. გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნას მიეძღვნას სალამოები, სამეცნიერო კონფერენციები, სესიები, საიუბილეოდ გამოიცეს მისი ნაწარმოებები, ითარგმნოს ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი“ რუსულ და ერთ-ერთ რომელიმე ევროპულ ენაზე. დასმულია საკითხი, რომ ს. ვირსალაძის სახელობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებასთან მოწყობილი მუზეუმი გამოიყოს რესპუბლიკურ მუზეუმად, ხოლო ყინწვისის მონასტერში, რომლის განახლება, მოხატვა და აღმშენებლობითი სამუშაოები დაკავშირებულია ზაზას სახელთან, შეიქმნას ზემოხსენებული მუზეუმის ფილიალი — ზაზას ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი გამოფენით და სხვ., რათა ამით უკვდავვყოთ ჩვენი დიდი წინაპრის — მკურნალისა და „ბრძენთმთავრის“ სახელი.

მ. შენგელია,

ს. ვირსალაძის სახელობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მკითხველები გვწერენ



სახელოვანი სპორტსმენები

ა. მეტრეველი.
ჩვენი ქვეყნის მრავალგზის და ევროპის ჩემპიონი ჩოგბურთში.

ვ. სანეევი.
ოლიმპიურ ასპარეზობათა და სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის ჩემპიონი.

დ. შანიძე.
მეხიკოს ოლიმპიურ ასპარეზობათა ვერცხლის პრიზიორი, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი, ევროპის რეკორდსმენი.

რ. სიხარულიძე.
ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი ტანმოვარჯიშე ქალთა შორის, სსრ კავშირის ნაკრების წევრი.

ნ. დრონოვა.
სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში გოგონათა შორის.

14 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა



ასეთი იყო ფინალური შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე ვაჟთათვის 110 მეტრზე თარჯრბენში. სურათზე — მარჯვნიდან მეორე ამ სახეობაში გამარჯვებული ა. მოშიაშვილი.
ფოტო მ. დათიკაშვილისა. (საქტესის ფოტოქრონიკა).

დავიპყროთ სპორტული მწვერვალები

გ. სიხარულიძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

□

ფიზიკური კულტურა და სპორტი ფართოდ დამკვიდრდა საბჭოთა ხალხის ყოფაცხოვრებაში. მან საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

ჩვენი ქვეყნის მრავალ სტადიონზე, საცურაო აუზში თუ ჩოგბურთის კორტზე, ძალოსნობის ფიცარნაგზე თუ ტანვარჯიშულ იარაღებზე ამ დღეს არაერთი მიმზიდველი ასპარეზობა გაიმართება — დღეს ხომ ფიზკულტურელის საკავშირო დღეა — ჯანმრთელობის, ძლიერებისა და სილამაზის დღესასწაული!

ეს არის საბჭოთა ახალგაზრდობის, ჩვენი ხალხის ერთ-ერთი საყვარელი დღესასწაული, რომელსაც უკვე სამ ათეულ წელზე მეტი ისტორია აქვს.

საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტულმა მოძრაობამ უკანასკნელ ხანს ახალი, კიდევ უფრო დიდი წარმატებები მოიპოვა — ბევრად გაიზარდა ფიზკულტურელთა რაოდენობა, სპორტის ოსტატთა რიცხვი, გაფართოვდა სპორტულ ნაგებობათა ქსელი, ამაღლდა რეკორდების დონე.

ამის საწინდარია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა საბჭოთა ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის, მისი ფიზიკური და სულიერი სრულყოფისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარება, სპორტულ ნაგებობათა ქსელის საგრძნობი გაფართოება, კვალიფიციური კადრების ფართო მასშტაბით მომზადება და ამის საფუძველზე ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა ოსტატობის დონის შემდგომი ამაღლება.

თავიანთ დღესასწაულს ახალი წარმატებებით ხვდებიან საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენებიც.

დღეს ფიზკულტურელთა რაოდენობამ ჩვენს რესპუბლიკაში 1.158.038-ს მიაღწია, რაც საქართველოს მოსახლეობის 24,8 პროცენტს უდრის. ჩვენ გვყავს სპორტის 3.200-ზე მეტი ოსტატი, საერთაშორისო კლასის 65 ოსტატი, ხოლო ასამდე კაცი სიამაყით ატარებს სპორტის დამსახურებული ოსტატის სამკერდე ნიშანს.

საგრძნობლად გაიზარდა სპორტულ ნაგებობათა რაოდენობაც. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში მათი რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელი იყო და მხოლოდ 300-მდე კაცი ვარჯიშობდა, ახლა ჩვენში 100-მდე სტადიონია, 950-მდე სპორტული დარბაზი, 60-მდე საცურაო აუზი, 12.400-მდე სპორტული მოედანი და მინდორი.

საქართველოს სპორტსმენებმა ახლახან კარგი საჩუქარი მიიღეს — თბილისში — ვაკეში აიგო ფარიკაობის, კრივისა და ძალოსნობის შესანიშნავი დარბაზები, ნიჩბოსნობის სადგური მტკვარზე, აბაზანიანი საცურაო აუზი და მძლეოსნური მანეჟი ქუთაისში, ფოთის წყალჯომარდობის სადგური და მრავალი სხვა. ქართველი სპორტსმენები მოუთმენლად ელიან თბილისის „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქციის დამთავრებას, ახალი ველოტრეკის მშენებლობას, სანაპიროზე საცურაო აუზის აგებას, საჭადრაკო-ალპური კლუბის საექსპლოატაციოდ გადაცემას...

კარგ მაგალითს იძლევა სპორტული მშენებლობის საქმეში სოფლის ახალგაზრდობაც, რომლის ინიციატივით შენდება ახალი სპორტული ნაგებობანი. ამ კეთილშობილურ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გარდაბნის, მახარაძის, გურჯაანის, ზუგდიდის, საგარეჯოს, ხაშურისა და სამტრედიის ორგანიზაციებმა.

ამ დარგში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტულმა კლუბმა „განთიადმა", საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს „სინათლემ", რუსთავის მეტალურგიული ქარხნის „ფოლადმა", ქუთაისის საავტომობილო ქარხნის „კოლხეთმა", სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის „ლელომ".

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გააუმჯობესეს ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობამ, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობამ, ხაშურის რაიონის სოფელ ალის კოლმეურნეობამ და სხვ.

ცხადია, რომ ფიზკულტურულ-სპორტული დონის საერთო აღმავლობასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა ცალკეულ სპორტსმენთა ოსტატობაც, ბევრად ამაღლდა სარეკორდო მაჩვენებლები.

ქართველ სპორტსმენთა მიღწევები შორს გასცდა ჩვენი რესპუბლიკისა და ქვეყნის საზღვრებს. მრავალი გამარჯვება აქვთ მოპოვებული ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ასპარეზზე ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას, თინათინ ლეკვეიშვილსა და ომარ ფხაკაძეს, რომან რურუასა და ალექსანდრე მეტრეველს, ვიქტორ სანეევსა და ზურაბ საკანდელიძეს, დიმიტრი შანიძესა და შოთა ლომიძეს... სწორედ მათ გააგრძელეს ღირსეულად ქართული სპორტის სახელოვანი ტრადიციები, რომლებიც თავის დროზე განავითარეს ბორის პაიჭაძემ და ნინო დუმბაძემ, ავთანდილ ღოღობერიძემ და ელენე გოკიელმა, ვახტანგ ბალავაძემ და გივი კარტოზიამ, ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ.

საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა დაოსტატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს გამოჩენილ მწვრთნელებს მ. თიკანაძეს, მ. კლდიაშვილს, ა. კერსელიანს, ს. ბურჯანაძეს, ტ. მესხს, შ. წერეთელს, ე. გოკიელს, მ. ტატიშვილს, მ. ჯუღელს, დ. გვანცელაძეს, შ. ჰედიას და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ სხვას.

თუ როგორ ვითარდება ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურა და სპორტი, ამაზე თვალნათლივ გაგვცა პასუხი ახლახან დამთავრებულმა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადამ.

მართლაც, სპორტულ საქართველოს არასოდეს მოუპოვებია ხალხთა სპარტაკიადებზე ასეთი ნადავლი. 78 მედალი წამოვიღეთ მოსკოვის ცხარე სტარტებიდან. აღსანიშნავია, რომ აქედან 28 მედალი ოქროსია, რაც თითქმის ორჯერ აღემატება წინა, საიუბილეო სპარტაკიადაზე მოპოვებულ ოქროს (15) მედლებს.

როგორც წინა სპარტაკიადაზე, საქართველომ მოიპოვა გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რისთვისაც ჩვენ ყველაზე მეტი ქულა (90) მივიღეთ. ოქროს მედლების კავალრები გახდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი ტარიელ ალიბეგაშვილი და ლევან თედიაშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი შოთა ლომიძე. ამ სამეულიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 22 წლის ლ. თედიაშვილის წარმატება, მან ბრწყინვალე სტილით დაამარცხა მსოფლიოსა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, მახაჩკალელი ი. შახმურადოვი.

თუ წინა სპარტაკიადაზე კლასიკური სტილის მოჭიდავეები მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ, ახლა მათ მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. მიუხედავად მძიმე ტრავმისა და ავადმყოფობისა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, რომან რურუამ ბრწყინვალედ ჩაატარა ტურნირის ყველა შეხვედრა და დამსახურებულად მიიღო ოქროს მედალი. ეს იყო საუკეთესო ილუსტრაცია სპორტსმენის თავდადებისა გუნდის ინტერესებისათვის. ოქროს მედალი წამოიღო მოსკოვიდან აგრეთვე ახალგაზრდა მოჭიდავემ ჯემალ მეგრელიშვილმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

წელს სპარტაკიადის პროგრამაში პირველად იქნა შეტანილი ჭიდაობა სამბო, რამაც რესპუბლიკის ნაკრებ კოლექტივს მესამე საპრიზო ადგილი მოუტანა. ჭიდაობის ამ სახეობაშიც გვყავს ორი ოქროს მედალოსანი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ზურაბ გოგოლაური და გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი სევერიან ქარელი.

სპარტაკიადამ უკვე დებიუტიდანვე მოგვიმზადა სასიამოვნო სიურპრიზი, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამეკურსელმა, 24 წლის ლიუბოვ ასატუროვამ დაჯაბნა ბევრი სახელმოხვეჭილი მშვილდოსანი (მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონი, მოსკოველი ე. გაპჩენკო) და სპარტაკიადის პროგრამის ახალ სახეობაში ოქროს მედალი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ სპარტაკიადის პირველი ოქროს მედალი სწორედ საქართველოს წარმომადგენელს გადაეცა.

თუ სპარტაკიადის დებიუტანტის წარმატება მოულოდნელი იყო, სამაგიეროდ ეჭვი არავის ეპარებოდა მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის, გამოცდილი ძალოსნის დ. შანიძის წარმატებაში. ჩვენდა სასიხარულოდ მან არა მარტო გაამართლა გულშემატკივართა იმედები და სპარტაკიადის ოქროს მედალი მოიპოვა, არამედ ევროპისა და სსრ კავშირის ახალი რეკორდიც დაამყარა ატაცში.

მრავალი მაყურებელი იყრიდა თავს ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე მოთავსებულ საცურაო აუზში. აქ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მცურავები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ხუთი დღის განმავლობაში. განსაკუთრებით ყიჟინითა და გამამხნევებელი შეძახილებით ხვდებოდნენ სპორტის მოყვარულები ახალგაზრდა ქართველ მცურავს, სამედიცინო ინსტიტუტის მეორეკურსელის თინათინ ლეკვეიშვილის სტარტებს. და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამმა სტარტმა თინას ორი ოქროს მედალი მოუტანა, რამაც გუნდს 34 ქულა შესძინა.

დიდ ინტერესს იწვევდა ველომრბოლელთა შეჯიბრება, რომლის ფავორიტად, ცხადია, ყველას ომარ ფხაკაძე (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) მიაჩნდა. ქართველმა სპორტსმენმა დაამარცხა გამოცდილი მეტოქეები და ისევე, როგორც წინა სპარტაკიადაზე, ოქროს მედალი მოიპოვა. ამით ო. ფხაკაძემ მერვედ დაისაკუთრა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის საპატიო ტიტული.

აშკარად კარგ სპორტულ ფორმაში მოგვევლინა ტანვარჯიშის ვეტერანი მიხეილ ბოზუსი, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა ძელზე ვარჯიშში.

უფაში, სადაც გაიმართა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ნორჩ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება, ბრწყინვალედ იასპარეზა ჩვენმა ნინო დრონოვამ, თბილისის 97-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ. 13 წლის გოგონამ ოქროს ხუთი მედალი დაისაკუთრა, ხოლო მეექვსე მედალი — ვერცხლისა გადაეცა მეორე გუნდური ადგილისათვის. ეჭვგარეშეა, რომ ნ. დრონოვა ჩვენი ტანვარჯიშის მომავალი ვარსკვლავია და მისგან ბევრ სასახელო გამარჯვებას უნდა მოველოდეთ.

დიდი სიხარული მოგვანიჭეს ნიჩბოსნებმაც — 32 წლის აპერი მაჩკანამ და 22 წლის ვიქტორ კრატასიუკმა (ორმოსასმელი ბაიდარები) და ფოთელმა კანოისტებმა ზურაბ ხოფერიამ და ნოდარ ჩარამმა. ნიჩბოსნებმა ოქროს 4 მედალი მოიპოვეს და 24 ქულა მოუტანეს გუნდს.

რაც შეეხება მძლეოსნობას, რომელიც ჩვენ ბოლოს განგებ მოვიტოვეთ, აქ შედეგი მართლაც სავალალოა. თუმცა აქაც გვქონდა ორი ოქროს მედალი — სოხუმელი აგრონომის ვიქტორ სანეევისა სამმაგ ხტომაში, რომელმაც სპარტაკიადის პერიოდში მსოფლიოს საუკეთესო შედეგი აჩვენა, და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორეკურსელის ანატოლი მოშიაშვილისა. ამ უკანასკნელმა თარჯრბენში საქართველოსა და სპარტაკიადების ახალი რეკორდები დაამყარა. თუმცა ჩვენ აშკარად უნდა ვუსაყვედუროთ წინა სპარტაკიადის ჩემპიონს ლ. იეველევას, გ. გუდამშვილს, ი. დიაჩკოვს, კ. გორძიმაშვილს, ი. კოზელსკის, რომლებმაც ვერ გაამართლეს გულშემატკივართა იმედები.

უკმაყოფილონი ვართ რესპუბლიკის მოკრივეების, ფრენბურთელების, საგზატკეცილო ველომრბოლელების, ცხენოსნებისა და თანამედროვე ხუთჭიდელების გამოსვლებით.

მეტის გაკეთება შეეძლოთ ქართველ წყალბურთელებს, წყალში მხტომელებსა და ხელბურთელებს.

მინდა მოვიყვანო რამდენიმე ციფრი, რომლებიც, ვფიქრობ, საინტერესოა „კომუნისტის" მკითხველებისათვის. საქართველოს სპორტული დელეგაციის 470 წევრიდან 270 პირველად იღებდა მონაწილეობას სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში. აქედან უმრავლესობა თბილისიდან იყო და მათ 600-ზე მეტი ქულა მოგვიტანეს.

მეორენი 55,03 ქულით იყვნენ ქუთაისელი სპორტსმენები — მათი 24 მონაწილიდან 19-მა ჩასათვლელი ქულები მოგვცა.

მესამე შედეგი აჩვენეს აჭარის (38,33), მეოთხე — გორის (28,67), მეხუთე — აფხაზეთის (26,75) სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე არიან ფოთელები (17,06), მცხეთელები (8,5), რუსთაველები (3,60), ზუგდიდელები (3,34), წყალტუბოელები და ხაშურელები (2,0-2,0).

აქვე ისმის კითხვა — სად არიან რესპუბლიკის დანარჩენი რაიონები და ქალაქები? ცხადია, ყოველი მათგანი ჩემპიონებსა და მედალოსნებს ვერ მოგვცემდა, მაგრამ ნუთუ სამხრეთ ოსეთმა, თელავის, ბორჯომის, ზესტაფონის და სხვა რაიონებმა, ვერ შეძლეს 1-2 სპორტსმენის მომზადება, რომლებიც ღირსეულად დაიცავდნენ რესპუბლიკის სპორტულ პრესტიჟს სასპარტაკიადო მოსკოვში! ვფიქრობთ, აქ თავისი გადამჭრელი სიტყვა უნდა თქვან ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა.

წარმატებით გამოვიდნენ სპარტაკიადაზე დინამოელი და განთიადელი სპორტსმენები, რომლებმაც ოქროს 9-9 მედალი მოიპოვეს. მესამე შედეგი რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებებს შორის აქვს „ბურევესტნიკს" (ოქროს 4 მედალი), რაც პირველ რიგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ფიზკულტურის ინსტიტუტში ფიზკულტურისა და სპორტისადმი ყურადღების გაძლიერებას ნიშნავს. ოქროს მედლები მოიპოვეს აგრეთვე „ვოდნიკის", არმიის სპორტული კლუბისა და „კოლმეურნის" სპორტსმენებმა.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით მთლიანად დაგვეკომპლექტებინა ნორჩი სპორტსმენების ნაკრები გუნდები მძლეოსნობასა და ცურვაში. განათლების სამინისტრო ჯერ კიდევ ვერ გვიბამს მხარს პერსპექტიულ, ნიჭიერ სპორტსმენთა მომზადების საქმეში.

ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს ამ წერილში ამომწურავი, ღრმა ანალიზი გავუკეთოთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის შედეგებს, გულდასმით გამოვიკვლიოთ ქართველი მძლეოსნების, მოკრივეების, ფრენბურთელების, ველომრბოლელების, ცხენოსნების, ხუთჭიდელების სუსტი გამოსვლები. არც სპარტაკიადის ქულების ჩათვლის სისტემის ავკარგიანობაზე საუბრით შეგაწყენთ თავს. ამაზე საკმაოდ დამაჯერებლად გამოთქვა თავის აზრი გაზეთმა „იზვესტიამ". საუბარი ყოველივე ამის შესახებ კიდევ გვექნება.

დასასრულ მინდა მივულოცო ჩვენი რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურელსა და სპორტსმენს, სპორტის ყველა გულშემატკივარს ფიზკულტურელის საკავშირო დღე და გამოვთქვა რწმენა, რომ საქართველოს ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით კვლავ ყველაფერს გააკეთებენ ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შემდგომი აღმავლობისათვის — სპორტული მწვერვალების დასაპყრობად.

მომავალ შეხვედრამდე!

ალვზარდოთ გამძლე, გამბედავი და მტკიცე ნებისყოფის, ამასთანავე წმინდა, ფაქიზი სულის ახალგაზრდობა — ეს ჭეშმარიტად დიდი საქმეა. ამას ემსახურება და ქართველ მთამსვლელთა უფროს თაობას ღირსეულ ცვლას უმზადებს თბილისის მოზარდთა სპორტული მთასვლური სკოლა (დირექტორი ნ. კანკავა). იგი თავისი არსებობის მხოლოდ ცხრა წელს ითვლის და ერთადერთია საბჭოთა კავშირში

მომავალ მთამსვლელთა სამჭედლო აერთიანებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსი ასაკის მოსწავლეებს და სამი წლის განმავლობაში უნერგავს ინტერესსა და სიყვარულს ალპინიზმისადმი. სკოლის პედაგოგები სპორტის ოსტატები: კ. ასტახიშვილი, გ. დევიძე, ა. ძიძიგური, ალპინიზმის ნაცადი ინსტრუქტორები: ე. ქვარია, გ. კაზარიანი და შ. ავსაჯანიშვილი დიდი სიფრთხილითა და გულისყურით ეკიდებიან საყვარელ საქმეს. მათ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა აზიარეს მთათა დაპყრობის ხელოვნებას და გზა დაულოცეს მწვერვალებისაკენ.

ამ სკოლაში ყველაფერი კეთდება დიდი მიზნისათვის. საერთო ფიზიკურ მომზადებას, რომელშიც შედის ტანვარჯიში, მძლეოსნობა, სპორტული თამაშობანი და მთასვლური სპორტის სხვა დამხმარე სახეობები, ცვლის თეორიული ლექცია-სემინარები ალპინიზმზე. სპეცმომზადება მთავარი საქმეა სკოლის მოსწავლეთათვის.

წავკისი, ლელვთახევი, არმაზისხევი, ბირთვისი, თბილისის ბოტანიკური ბაღის კლდეები — აი მოსწავლეთა პრაქტიკული დაოსტატების ძირითადი სამეცადინო ბაზები.

სკოლა ამაყობს იმით, რომ საქართველოს კლდეზე მცოცავთა ნაკრების უმრავლესობას ამ სკოლის აღზრდილები შეადგენენ. აქ აღიზარდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ი. გელდიაშვილი, სპორტის ოსტატობის კანდიდატები შ. ქოქოშვილი, თ. კომახიძე, პირველთანრიგოსნები თ. ქიტუაშვილი, თ. ქათამაძე, ლ. რომაშკინა.

ყოველი სასწავლო წლის დასასრულს სკოლა აწყობს სამთო-საბანაკო შეკრებას ცენტრალურ კავკასიონზე.

ყაზბეგი. წმიდა სამების ტერიტორია. სიმაღლე ზღვის დონიდან 2.000 მეტრი. აქედან კარგ ამინდში ჩინებულად მოჩანს ხევის ლამაზი პატარძალი — მყინვარწვერი და მთელი ხევის გულამაჯი ბუნება. წელს აქ გაშალეს კარვები მთასვლური სკოლის აღსაზრდელებმა. 100-მდე ბავშვი პრაქტიკულად ეუფლება სპორტის ამ უმამაცესი სახეობის რთულ ტექნიკას. ეს შეკრება მათთვის ხომ მთელი წლის განმავლობაში შეძენილი ცოდნის შეჯამებაა.

ამავე სკოლის აღზრდილები პირველთანრიგოსნები, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი თემურ თექთუმანიძე და ჯემალ ქელეხსაშვილი ხშირად ესაუბრებიან მოსწავლეებს მთის რელიეფზე, აკლიმატიზაციის მნიშვნელობაზე, ალპური მოწყობილობის ხმარების ტექნიკაზე. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მოსწავლეები ფიზიკურად და სულიერად მოამზადონ.

ბოლოს, საგულდაგულო საექიმო შემოწმების შემდეგ კომპლექტდება საიერიშო ჯგუფი მწვერვალ სპარტაკის (სიმაღლე 4200 მეტრი) დასაპყრობად.

ადრეულ დილაბინდზე გასული ჯგუფი ღამეს მეტეოსადგურში ათევს. აქ, თოვლყინულის სამეფოში, ზღვის დონიდან 3700 მეტრ სიმაღლეზე იგუებიან გაიშვიათებულ ჰაერს. აისზე კი მწვერვალზე იწყებენ იერიშს და გამარჯვებულნიც ბრუნდებიან ბანაკში. ასვლის ხელმძღვანელი პატაკს აბარებს სკოლის დირექტორს და აუწყებს, რომ ჯგუფის ყველა წევრმა კარგი მომზადება გამოამჟღავნა და წარმატებით იქნა დაძლეული სიმაღლე.

ექიმი კვლავ გულდასმით სინჯავს ბანაკში დაბრუნებულებს. ბავშვებს კარგად აუტანიათ მთის მკაცრი ჰავა, რაც მათი დავაჟკაცებისა და წინსვლის საწინდარია.

პირველი მწვერვალი, პირველი სიხარული და ამ სიხარულით გამოწვეული ცრემლებიც კი, რაღაც შეუცნობელი, ახალი განცდები. რამდენი რამის ამოკითხვა შეიძლებოდა მათ მზემოლ ბედნიერ სახეებზე.

გვიან ღამემდე, კოცონთან, მწვერვალიდან დაბრუნებულნი გატაცებით ჰყვებოდნენ მზის სხივებში მოხიბვრე მწვერვალებზე, მოფარფატე ღრუბლებზე, ბუნების საოცარ განუმეორებელ სილამაზეზე, პირველ შთაბეჭდილებებზე, დაღლილობა ვიღას ახსოვდა...

სულ მალე მოსწავლეები სტოვებენ ბანაკს, თუმცა ეძნელებათ შეჩვეულის დატოვება და სინანულის გრძნობა ეუფლებათ.

ისინი მთებში არ დაბადებულან, მის უბე-კალთაზე არ გაზრდილან, არ განუცდიათ მისი ავ-კარგი, მაგრამ მთა შეიჭრა მათს სამყაროში, მათს პრაქტიკულ საქმიანობაში.

მშვიდობით, მთებო, მომავალ შეხვედრამდე, მწვერვალებო!

რუსუდან მუხიგულაშვილი.

* * *

სურათზე: მოზარდი მთამსვლელები გზას მიიკვლევენ მწვერვალ „სპარტაკისაკენ".

„ოქროს დღეები" ჰელსინკში

მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატის მორიგი დღე ჰელსინკში ახალი წარმატებებით აღინიშნა, გამარჯვებულთა შორის პირველ რიგში უნდა ვახსენოთ ჩემპიონატის დებიუტანტი სომხეთიდან ფ. მელნიკი, რომელმაც ბადრო ტყორცნა 64 მეტრსა და 22 სანტიმეტრზე და ევროპის ჩემპიონობასთან ერთად მსოფლიო რეკორდსმენის ტიტულიც დაიმსახურა ქალთა შორის. კიდევ ერთი ოქროს მედალი ჩვენს გუნდს მოუტანა კიეველმა მძლეოსანმა ე. არჟანოვმა. მან 800 მეტრზე რბენაში აჩვენა დრო — 1.45,6.

helsinki
em 71

400 მეტრზე თარჯრბენში ოქროს მედალი მოიპოვა ჟან კლოდ ნალემ — 49,2. 800 მეტრზე რბენაში ქალთათვის უძლიერესი იყო ვ. ნიკოლიჩი. დრო — 2 წუთი. ფინალური გარბენი 400 მეტრზე ქალთათვის მოიგო ჰ. ზეიდლერმა (გდრ, 52,1), ხოლო სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა ი. გუზენბაუერმა (ავსტრია, 187 სანტიმეტრი). დაამთავრეს შეჯიბრება ათჭიდელებმა. აქ ევროპის ჩემპიონი გახდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ი. კირსტი.

საბჭოთა სპორტსმენებს გუშინდლამდე ჰქონდათ 6 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის

დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე: 1. საბუღალტრო აღრიცხვა, 2. ვაჭრობის ეკონომიკა, 3. მრეწველობის დაგეგმვა.

აღნიშნულ სპეციალობებზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ მათემატიკაში (წერა), ისტორიაში (წერა) და გეოგრაფიაში (ზეპირი), გარდა ამისა, ყველა შემსვლელი აბარებს წერით გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში როგორც არაპროფილებელ საგანში.

აბიტურიენტები გამოცდაზე დაიშვებიან მათემატიკაში სავალდებულო გასაუბრების გავლის შემდეგ.

განცხადებები მიიღება 15 აგვისტოდან 20 აგვისტომდე 10 საათიდან 15 საათამდე.

მისაღები გამოცდები 22 აგვისტოდან.

საბუთები მიიღება უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში. მისამართი: თბილისი, საბურთალო, უნივერსიტეტის ქუჩა № 2. ტელეფონი 31-40-62.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

14 აგვისტო

პირველი პროგრამით

11.30 — ბავშვებისათვის სატელევიზიო ფილმი, 12.10 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.40 — „ფიზკულტურელთა საკავშირო დღე". საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ს. პავლოვის გამოსვლა. 12.50 — ქართული მხატვრული ფილმი — „მაცი ხვიტია", 14.20 — კინოპროგრამა, 15.20 — ცენტრალური ფერადი ტელევიზია. „ცხოვრების ფურცლები", 16.10 — მოსწავლეთათვის გადაცემა — „აისი", 16.40 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.25 — „შენდება, მშვენდება სოფელი", 17.40 — გადაცემა ციკლიდან „იმ დღეთა მოსაგონებლად", 18.00 — ცენტრალური ფერადი ტელევიზია. ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ცსკა — „დინამო" მოსკოვი (ტრანსლაცია მოსკოვიდან), 19.45 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შედეგები (სტუდიაში საქართველოს სპორტული დელეგაციის წარმომადგენლები), 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მესამე სემესტრი", 21.35 — „ჩვენი სტუმრები" (სამხრეთ ოსეთის მწერლები), 22.35 — კონცერტი.

მეორე პროგრამით

19.00 — სატელევიზიო ფილმი, 19.30 — ქართული მხატვრული ფილმი „დისკრის ზარები", 20.45 — მუსიკალური პროგრამა.

15 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.15 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ბავშვებისათვის — ეზოებისა და ქუჩის გუნდების საკავშირო შეჯიბრება „ტყავის ბურთის" პრიზზე. ფინალური შეხვედრა (გადმოცემა ჩელიაბინსკიდან), 12.00 — კინონარკვევი, 12.20 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „თეთრი ფლუგერი", 13.40 — კინოაფიშა, 14.00 — სატელევიზიო ფილმი, 15.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტპანორამა" (გამეორებით), 16.10 — კინოპროგრამა, 17.00 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა, 17.20 — ფერადი ტელევიზია. ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (გადმოცემა ჰელსინკიდან), 19.00 — გადაცემა „მელიორაცია და ირიგაცია ხუთწლედში", 19.20 — „ჩვენი სტუმრები", 19.50 — კინონარკვევი — „ცრემლი სახეზე" (ქართულ ენაზე), 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (მოსკოვი). ტრანსლაცია მოსკოვიდან, 21.45 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საესტრადო გასართობი პროგრამა.

მეორე პროგრამით

19.00 — სატელევიზიო ფილმი, 19.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — დოკუმენტური ფილმი „ცისფერი წყალსაცავების სიმდიდრე", 20.10 — მხატვრული ფილმი „ცოცხალი ლეში" (I და II სერია).

მატჩები და შედეგები

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

მოსკოვის ტორპედოელები საკუთარ მოედანზე შეხვდნენ ალმა-ატის „კაირატს" და გაიმარჯვეს 3:1.

დონეცკში თამაშობდნენ ლვოვის „კარპატისა" და დონეცკის „შახტიორის" გუნდები. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — ფრე.

მატჩი ვოროშილოვგრადში ადგილობრივ „ზარიასა" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდებს შორის დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443
უე 03018
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8. ლენინის ქ. 14